კომენტატორი

№9

ფასი: 1,50 ლარი

საფეხბურთო ჟურნალი, რომელიც არ ძველდება

„ქიჯიჩაკვნელი“ ნაპოლონალაჩი ფეცაჩოლი

ლუის ენრიკეს ბარსელონა

ვლადიმერ გაცკევიჩ – ფეხბურთელი, რომელმაც “სანტიაგო ბერნაბეუს” დი სტეფანო გაახსენა

მთავარი რედაქტორი
ტარიელ (ტატო) კინწურაშვილი

ოქროს ქალღმერთი, რომელსაც 1970 წელს ბრაზილიის ნაკრები სამუდამოდ დაეუფლა.

დამფუძნებლები:

კობა ბედოიძე.

ტარიელ კინწურაშვილი.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. #50
http://bedoidze.site.ge/
ტელ.: 2-51-91-27; 557-59-56-82;
ელფოსტა: kbedoidze@hotmail.com
tariel1981@hotmail.com

2015 წელს

სიქარბოველოს ლეღიქალიქი თბილისი ყეფის სყნერთესს ყმესნიწძლებს!

სარჩევი

„მიჯირყვნული“ ნაციონალური ფეხბურთი ---------- 4
კარაველა ---------- 5
ვლადიმერ გუცაევი – ფეხბურთელი, რომელმაც ‘სანტიაგო ბერნაბეუს’’ დი სტეფანო გაახსენა------ 6
კორიფეთა მოგონებანი ---------- 9
სათავეებთან ---------- 10
ლუის ენრიკეს ბარსელონა---------- 12
ფეხბურთის სამშობლოში ---------- 13
მრავლისმეტყველი ფაქტები ---------- 14
მარადონას ხუთი მუნდიალი ---------- 15
დუნგას შანსი ---------- 18
მოთამაშე, რომელიც მოწინააღმდეგის უხეშობისთვის თავად იხდიდა ბოდიშს --- 19
სევდიანი ისტორია ---------- 20
რადომირ ანტიჩი: „ნებისმიერ ვარსკვლავთან ინდივიდუალურად ვმუშაობდი“ --- 21
სოკრატესი ---------- 22
გენერალი ---------- 24
უკომენტაროდ---------- 25
ცნობილი ადამიანების უცნაური გამონათქვამები:---------- 26
კომენტატორების 15 წვეტიანი გამონათქვამი: ---------- 26

ტკივილი

„ძიჯიჩყვნელი“ ნაციონალური ფეხბურთი

საქართველო - ირლანდია – 1:2
შოტლანდია - საქართველო – 1:0
გიბრალტარი - საქართველო – 0:3

... ირლანდიასთან...

ირლანდია? ირლანდია არც ძალიან ძლიერი მახსოვს და არც ძალიან სუსტი. საქართველოს ნაკრების არაერთხელ დამმარცხებლებს, მუდამ საშუალო სიძლიერის ევროპული ნაკრების ნიშა აქვთ დაკავებული მსოფლიო საფეხბურთო სამყაროში, თუმცა ხანდახან ისეთ დიდ ფორუმზეც სჩვევიათ გაბრწყინება, როგორიც არის მსოფლიო ჩემპიონატი. გავიხსენოთ თუნდაც 1994 და 2002 წლებში გამართული მუნდიალები... ოცი წლის წინ და თორმეტი წლის წინათაც მათ ბრაზილიის ნაკრების მიერ ფინალებში დამარცხებული, მსოფლიოს აღიარებული დიდი გუნდები შეაჯანჯღარეს... 1994-ში იტალიელებს მოუგეს, ხოლო 2002-ში გერმანელებს დააკარგვინეს ორი ქულა.

ირლანდიის ნაკრები სათამაშო სტილს არ ღალატობს - საფეხბურთო მწვანე მოედანზე, მწვანე ფორმაში გამოწყობილი აირიშების მთავარ ღირსებას დღესაც, (თუ შეძლეს-თუ გამოუვიდათ) სწრაფ ტემპში ჟინიანი ორთაბრძოლის გამართვა წარმოადგენს. მათი გამორჩეული თვისება ბურთის უზადო ფლობა და მრავალსვლიანი კომბინაციების განხორციელება არასდროს არ ყოფილა. საქართველოს ნაკრების თბილისში მომგებ გუნდსაც კოჭებში შეეტყო – ციდან ვარსკვლავების მოწყვეტამდე ბევრი რომ უკლია, მაგრამ მომენტებში ირლანდიელი მოთამაშეების მხრიდან შესანიშნავად განხორციელებული ეგრეთწოდებული „ბურთის დაჭერა“ უთუოდ საქართველოს ნაკრების სისუსტეზე მიგვითითებს. სხვა მხრივ თბილისურ მატჩში ირლანდიელებს თავი დიდად არაფრით არ წარმოუჩენიათ და აქედან გამომდინარე რაოდენ სამწუხაროა, რომ ევროპის 2016 წლის ჩემპიონატის შესრჩევი ეტაპის პირველივე შეხვედრაში შინ სამი ქულა დავკარგეთ მათთან.

გაცვეთილი გამონათქვამია ასეთი – „შეცდომებზე სწავლობენო“ – მაგრამ ჩვენს ეროვნულ ნაკრებზე ამას ვერ ვიტყვით, უკვე მერამდენე შემთხვევაა, როდესაც ბოლო ათ წუთში მობილიზებას, თამაშზე კონცენტრირებას ვერ ახერხებენ ჩვენი ფეხბურთელები. სიმართლე უნდა ითქვას ქეცბაიას გაწვრთნილი ნაკრების თამაში სანახაობრივ ასპექტშიც სავალალო შთაბეჭდილებას ტოვებს. ირლანდიელებთან მატჩში თორნიკე ოქრიაშვილი გამოირჩეოდა, რომლის მართლაც ოქროსავით გოლმა სამწუხაროდ ქულაც ვერ მოგვიტანა, თუმცა მისი კარგი თამაში დასაფასებელია. ოქრიაშვილს მონდომებაც არ აკლდა და მთელ რიგ მომენტებშიც ეფექტურად მოქმედებდა – სწორედ ის იყო ერთადერთ ნათელი წერტილი ირლანდიელებთან მატჩში, ოღონდ ეს „წერტილი“ მხოლოდ ერთი ფეხბურთელის ინდივიდუალურმა ოსტატობამ „გაანათა“ – სხვა მხრივ კი საქართველოს ეროვნულ ნაკრებს მწვრთნელის ხელი ნაღდად არ ეტყობოდა. ქეცბაიას გაწვრთნილმა გუნდმა საკუთარ მოედანზე საშუალო ევროპულ გუნდთან, ვერც თამაშის სიმწყობრით, ვერც გააზრებული კომბინაციებით, ვერც შემტევი სტილით და ვერც ბრძოლისუნარიანობით თავი ვერ დაგვამახსოვრა. არადა ევროპაზე გასვლის პერსპექტივა გაზრდილია – პლატინის კრეატიულობიდან გამომდინარე ბებერი კონტინენტის საფეხბურთო ჩემპიონატზე, შესარჩევ ეტაპზე მონაწილე გუნდების თითქმის ნახევარი მოიყრის თავს... ისმის კითხვა: საფრანგეთი 2016 ვითომ ჩვენს გარეშე ჩაივლის? ქეცბაიამ კი დაიქადნა გუნდს გავიყვანო და... ა ბატონო – ჰა ბურთი და ჰა მოედანი... წინ კიდევ ცხრა თამაში, ცხრა ორთაბრძოლა გველოდება!

--- შოტლანდიასთან ---

შოტლანდია ის გამონაკლისი ქვეყანაა, რომელსაც სანაკრებო დონეზე საქართველო ყოველთვის ჯობდა. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ჩვენი ეროვნული გუნდი და შოტლანდიის ნაკრები ადრეც ყოფილან ერთად. მაშინ შოტლანდიელებმა მსოფლიო ჩემპიონატის მოქმედ ფინალისტს – საფრანგეთის ნაკრებს ორი თამაში მოუგეს, თბილისში მათთვის აგრერიგად მნიშვნელოვან შეხვედრაში კი დამარცხდნენ. საქართველოს ახალგაზრდულსა და 21 წლამდელთა ნაკრებსაც ჰყავთ სკოტი თანატოლები დამარცხებული. შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაცია ჯერ კიდევ 1873 წელს შეიქმნა და აქედან გამომდინარე ჩვენთვის ყოველთვის საამაყო იყო ისეთ საფეხბურთო ქვეყანასთან მიღწეული წარმატებები როგორიც შოტლანდიაა.

ახლა კი რა ხდება? ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, რომელიც უკვე არაერთი წელია გუნდში მუშაობს და რომელმაც დაიქადნა საქართველოს ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავიყვანო – შესარჩევი ციკლის სტარტზე ორი შეხვედრა წააგო და წააგო უიმედოდ, უშინაარსოდ... ქეცბაიას გუნდმა ყოვლად გაუგებარი ორი თამაში ჩაატარა – გუნდს არ გააჩნდა ტაქტიკა და თუ რამე ტაქტიკისმაგვარი მაინც ჰქონდა დასახულ-შემუშავებული მასაც ორიანზე ასრულებდა. თუმცა რა გასაკვირია ნაკრების ესეთი უსუსური ასპარეზობა, როდესაც ქვეყანაში თვითონ ფეხბურთია დასნეულებული!

ნაციონალური პარტიის ზეობის ხანაში თუ როგორ და რატომ ჩატარდა ფეხბურთის ფედერაციის არჩევნები ყველას კარგად მოგვეხსენება, ჰო-და შედეგსაც ვიმკით... ქართველი მსაჯები (მათ შორის – ფიფას არბიტრიც) შავბნელ საქმეებში ეხვევიან. 2500-დან 5000 დოლარის სანაცვლოდ წინასწარ ურიგდებიან მავანთ ყვითელ-წითელი ბარათების რაოდენობაზე და ფულს იჯიბავენ... აქედან გამომდინარე საქართველოს ჩემპიონატის ჩატარებას რა აზრი ქონდა არ მესმის და აზრი, რომ არ ქონდა ნათლად გამოჩნდა ევროპული საკლუბო შეჯიბრებების საკვალიფიკაციო ეტაპებზე, სადაც საქართველოს ჩემპიონის თბილისის „დინამოს“ თამადობით ყველა ქართულმა კლუბმა შეირცხვინა თავი – ვერც ერთმა მათგანმა ვერ დასძლია საკვალიფიკაციო ეტაპი, ხოლო იგივე საჩხერის „ჩიხურასგან“ განსხვავებით თბილისის „დინამო“ ძალზე სუსტად წარსდგა ევროპულ ასპარეზზე, რასაც გუნდიდან ფეხბურთელთა მასიური გაშვება მოჰყვა.

ისმის მეტად აქტუალური კითხვა! რას აკეთებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და თუ რამეს აკეთებს რა ქვია ამ საქმიანობას?

--- გიბრალტართან ---

გიბრალტარი ფეხბურთში სან მარინოს, ლიხტენშტეინის და ანდორას კატეგორიაში გადის. გიბრალტარის ნაკრებმა თავის სადებიუტო შესარჩევ ციკლში საწყისი ორი შეხვედრა წააგო, ვერ გაიტანა ვერც ერთი გოლი, ხოლო საკუთარ კარში თოთხმეტი ბურთი გაუშვა. გიბრალტართან ყველა ვარიანტში უნდა მოგვეგო და სამი ქულის აღება არც გაგვჭირვებია, თუმცა ეს დიდი ვერაფერი ნუგეშია საქართველოს ნაკრების ქომაგებისთვის.

P.S. იმედია 14 ნოემბერს საქართველოს ნაკრები მშობლიურ სტადიონზე გამართულ ფეხბურთს ითამაშებს და პოლონეთის ძლიერ ნაკრებს ქულებს დააკარგვინებს. 1997 წელს, თბილისში, მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში საქართველოს ნაკრებმა პოლონელები დიდი ანგარიშით 3:0 დაამარცხა და მაშინ პოლონელთა მეკარე ალექსანდერ კლაკის კარში ერთი გოლი საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა თემურ ქეცბაიამ გაიტანა.

ტარიელ კინწურაშვილი

კარაველა

1973 წელს თბილისის „დინამომ“ ალიოშა კოტრიკაძის ხელმძღვანელობით პირველი საერთაშორისო ტურნირი მოიგო – ესპანეთის ქალაქ უელვაში თბილისელებმა ჩემპიონთა თასის ფინალისტი მადრიდის „ატლეტიკო“ დაამარცხეს პენალტების სერიაში, შემდეგ კი ლისაბონის „ბენფიკას“ მოუგეს 3:1 (გოლები: გუცაევი (2), ყიფიანი.) და მთავარ პრიზს - კოლუმბის კარაველას დაეუფლნენ.



საჯარიმო

ვლადიმერ გუცაევი – ფეხბურთელი, რომელმაც "სანტიაგო ბერნაბეუს" და სტეფანო გაახსენა

1971 წლის საფეხბურთო სეზონის განმავლობაში თბილისის "დინამოში" თაობათა ცვლის მტკივნეული პროცესი მიმდინარეობდა. გუნდს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი ემშვიდობებოდა, რომელთა შორის ქართველ გულშემატკივართა რამდენიმე თაობის კერპი სლავა მეტრეველი იყო. დინამოელთა ქომაგები საგონებელში იყვნენ ჩავარდნილნი. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო სლავას შეცვლა, რომელსაც ფიფას ნაკრებში ჰქონდა მატჩი ჩატარებული (მეტრეველის ყველა ტიტულსა და რეგალიას თავი რომ დავანებოთ). და აი, სლავას ფეხბურთიდან სევდანარევი "საზეიმო გაცილებაც" შედგა. იმხანად დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, ვეტერან მოთამაშეს "თავისი" მაისური სიმბოლურად საქმის გამგრძელებლისთვის უნდა გადაეცა. მეტრეველსაც ბევრი არ უყოყმანია და საკუთარ "მემკვიდრედ" ვლადიმერ გუცაევი გამოაცხადა.

ვალერი ლობანოვსკი ვლადიმერ გუცაევს ესალმება

ვოვას "დინამოს" დუბლშემადგენლობასა და ძირითადში რამდენიმე შეხვედრა ჩატარებული კი ჰქონდა (უმაღლეს ლიგაში სადებიუტო შეხვედრა ლვოვის "კარპატთან" ჩაატარა, პირველი გოლო კი ლენინგრადის "ზენიტს" გაუტანა) და გულშემატკივრები მის ნიჭიერებაზე საუბრობდნენ, მაგრამ პირველივე თამაშებში მისგან ასეთ მაღალოსტატურ გამოსვლას ცოტა ვინმე თუ ელოდა. გუცაევს საკავშირო პირველობის უმაღლეს ლიგაში არათუ ადაპტირება დასჭირდა, სადებიუტო შეხვედრებიდანვე მოწინააღმდეგეთა მცველებისთვის ლამის ყველაზე მოუხელთებელ თავდამსხმელად იქცა. იშვიათი სასტარტო სისწრაფისა და თავბრუდამხვევი ფინტების წყალობით იგი "დინამოს" შეტევის მარჯვენა ფლანგზე ნებისმიერ უკანახაზელს აბითურებდა და მეტოქის საჯარიმო მოედნის შუაგულში საგოლე პასებს აწვდიდა ცენტრფორვარდებს. სტაჟიან გულშემატკივარს კარგად ახსოვს 1971 წლის შემოდგომაზე თბილისის "ლოკომოტივის" სტადიონზე გამართული შეხვედრა. ჩვენს დედაქალაქს მოსკოვის "სპარტაკი" ეწვია, რომლის უკანა მარცხენა ფლანგზე გამოცდილი მცველი, საკავშირო ნაკრების წევრობის კანდიდატი ოლშანსკი თამაშობდა. მისი და გუცაევის დაპირისპირება ასპარეზობის დაწყებისთანავე საცირკო წარმოდგენას დაემსგავსა. ვოვამ 90 წუთის განმავლობაში უამრავჯერ გააბითურა მოსკოველი ვიზავი: ბურთს ხან ფეხებშუა უგორებდა, ხან თავს ზემოთ უგდებდა და კოორდინაციადაკარგული ოლშანსკი მინდორზე იშხლართებოდა. რუსი უკანახაზელისთვის ის შეხვედრა საფეხბურთო კარიერის ბოლო მატჩი აღმოჩნდა – შერცხვენილმა მცველმა სპორტიდან წასვლა განიზრახა.



სლავა მეტრეველმა ვლადიმერ გუცაევს თავისი მაისური გადასცა

გუცაევთან პირისპირ დარჩენისას უძლურნი იყვნენ კიევის "დინამოს", მოსკოვის "სპარტაკის", ერევნის "არარატის" და საკავშირო პირველობის მონაწილე უკლებლივ ყველა გუნდის მცველები, მაგრამ განსაკუთრებული საუბრის თემა მაინც მისი და მოსკოვის "დინამოს" უკანახაზელთა დაპირისპირებაა. ამ გუნდში ვლადიმერის განეიტრალება წლების განმავლობაში ალექსანდრ მახოვიკოვსა და სერგეი ნიკულინს უწევდათ. პრაქტიკულად ყველა მატჩში გუცაევი მათ გამოუვალ მდგომარეობაში აგდებდა. აღნიშნული მცველები მის შეჩერებას ვერ ახერხებდნენ და უხეშობდნენ. ორი "დინამოს" ერთ-ერთი შეხვედრისას ვოვამ მორიგი "საცირკო" წარმოდგენა უჩვენა მაყურებელს, მახოვიკოვმა კი მინდორი გამასხარავებულმა დატოვა. ამ მატჩიდან რამდენიმე დღის შემდეგ გუცაევს მისმა მეგობარმა ვალერი გაზაევმა მოუყვა: "სასტუმროს ნომრის კარზე ღამის 3 საათზე ვიღაცამ მომიკაკუნა. ლოგინიდან ბუზღუნით წამოვდექი და როდესაც კარი გავაღე, სახტად დავრჩი – არყის ბოთლით ხელში საშა მახოვიკოვი შემრჩა. იგი გვარიანად გამომთვრალიყო და სახეზე ცრემლები ღაპაღუპით სდიოდა. მან შემომჩივლა, იქნებ შენ ძმაკაც გუცაევს სთხოვო, ნუ მამასხარავებსო".

ვლადიმერ გუცაევს თბილისის "დინამოს" ლამის 90 წლიანი ისტორიის განმავლობაში ბევრი მნიშვნელოვანი ტიტული მოუპოვებია და რაც მთავარია, უამრავი ისეთი მატჩი აქვს ჩატარებული, რომლებიც ფეხბურთის ჭეშმარიტ დამფასებელთა მეხსიერებიდან არასდროს წაიშლება. თანაც, დინამოელთა დიდოსტატ-

ური, ეფექტური, კოლორიტული თამაში უცხოეთშიც მშვენივრად ახსოვთ. ამ მხრივ უდავოდ გამოსაყოფი 1981 წლის სექტემბერში "სანტიაგო ბერნაბეუს თასზე" ქართველ ფეხბურთელთა გამოსვლა და ესპანეთის დედაქალაქში გუნდისა და მისი ცალკეული მოთამაშეების ბრწყინვალე ასპარეზობა გახლავთ. 33 წლის წინათ ჩატარებული ბატალიების დეტალურად გასაცნობად ვლადიმერ გუცაევის მონათხრობს გთავაზობთ:

მადრიდში ყოველწლიურად მეტად პრესტიჟული ოთხთა ტურნირი იმართება. 1981 წელს "რეალთან" ერთად შეჯიბრებაზე ჩვენ, ჩემპიონთა თასის მრავალგზის მფლობელი მიუნხენის "ბაიერნი" და ჰოლანდიის "ალკმაარი" მიიწვიეს. თბილისის "დინამო" ესპანეთის დედაქალაქს თასების თასის მფლობელის რანგში ეწვია. იქაურ გულშემატკივრებსა და ჟურნალისტებში დიდი ავტორიტეტი გვქონდა. ასპარეზობის დაწყებამდე მრავალი კომპლიმენტიც მოვისმინეთ, თუმცა, ტურნირის ორგანიზატორებმა კალენდარი ისეთნაირად "დაგეგმეს", რომ ფინალში ერთმანეთს "რეალი" და "ბაიერნი" უნდა შეხვედროდნენ. ნახევარფინალში მადრიდული გრანდი გვერგო. გადაჭედილი "სანტიაგო ბერნაბეუს" ტრიბუნების თვალწინ თამაში თავიდანვე წაგვივიდა. ვალში არც მეტოქე დაგვრჩა და თვალწარმტაცი ორთაბრძოლა წარიმართა. ანგარიშში ჩვენ დავწინაურდით. მატჩის იმ მონაკვეთში "რეალი" გვიტევდა. ბურთი ჩვენი საჯარიმო მოედნის სიახლოვეს, მარჯვენა ფლანგზე მივიღე. სათადარიგოთა სკამთან ახლოს ვიყავი და მწვრთნელებმა ნოდარ ახალკაცმა და სერგო კუტივაძემ დამიძახეს, ბურთიანად წინ წადიო. დრიბლინგით თითქმის მთელი მოედანი გადავსერე, გზად 5-6 მადრიდელი უკან ჩამოვიტოვე და "რეალის" მეკარე მიგელ ანხელთან პირისპირ აღმოვჩნდი. გოლკიპერის მოტყუებაც შევძელი, მაგრამ მან ფეხზე ხელი გამომდო და მსაჯმაც პენალტი უყოყმანოდ დანიშნა. თერთმეტმეტრიანის გოლად რეალიზება რამაზ შენგელიას არ გასჭირვებია და წინ გავედით. მეორე ტაიმის დასაწყისში არბიტრმა მეტად საეჭვო პენალტი, ამჯერად ჩვენ კარში დანიშნა. მადრიდელთა გერმანელმა ლეგიონერმა ული შტილიკემ წონასწორობა აღადგინა, მაგრამ მალე კვლავ დავწინაურდით. მეორე გოლიც ჩემ სოლო რეიდს მოჰყვა. მარჯვენა ფრთაზე "რეალის" მცველები დავჩაგრე, მეტოქის საჯარიმოში შევიჭერი და კარში დავარტყი. მიგელ ანხელმა ბურთი კი მოიგერია, მაგრამ რიკოშეტს პირველმა რამაზმა მიუსწრო – 2:1. ამის შემდეგ მოწინააღმდეგის, მსაჯისა და მაყურებლის მხრიდან ნამდვილ წნეხში აღმოვჩნდით. დათო ყიფიანს ანხელი პერსონალურად მეურვეობდა და მთელი მატჩის განმავლობაში უხეშობდა, ერთ-ერთ ეპიზოდში კი აშკარად ბინძურად "ითამაშა" და ოპონენტს ფეხი მოტეხა. "რეალმა" ოფსაიდიდან გაგვიტანა, შემდეგ ნუკრი კაკილაშვილიც დაამტვრიეს. ერთი სიტყვით, მასპინძლებმა ყველა არასპორტული საშუალებით მოახერხეს ჩვენი დამარცხება (4:2). საფინალო სასტვენის შემდეგ მაყურებელმა გასახდელისკენ ტაშით გაგვაცილა.

საღამოს სასტუმროში მადრიდელი ჟურნალისტები მოვიდნენ. მათ ჩემთან და რამაზთან ინტერვიუს აღება ითხოვეს. სამივე ჟურნალისტი შუახნის იყო და ეტყობოდათ, რომ მრავალი საფეხბურთო ბატალიის მომსწრენი იყვნენ. ერთმა მათგანმა პირდაპირ გვკითხა, დიეგო მარადონა "დინამოში" რომ გადმოვიდეს, ძირითადში ადგილს თუ დაიმკვიდრებსო. მე და შენგელიამ ერთმანეთს გადავხედეთ, შემდეგ იხტიბარი არ გავიტეხეთ და რეპორტიორს ვუპასუხეთ, ჩვენ დათო ყიფიანი გვყავს და მარადონამ მასთან კონკურენციას შეიძლება ვერც კი გაუძლოსო. ერთერთმა ჟურნალისტმა ჩვენი მისამართით საქებარი სიტყვები არ დაიშურა და ბოლოს გვითხრა, მთელი ცხოვრება ფეხბურთს ვემსახურები და თბილისის "დინამოსნაირი" ტექნიკური, დაბალანსებული გუნდი აქამდე მხოლოდ ორჯერ მყავს მინდორზე ნანახი – 1970 წლის ბრაზილიის ნაკრები და კრუიფის დროინდელი "აიაქსიო". მათ აღფრთოვანება ვერ დამალეს და მითხრეს – თქვენნაირი შთამბეჭდავი თამაში "სანტიაგო ბერნაბეუზე" მხოლოდ ალფრედო დი სტეფანოს აქვს ნაჩვენები.

მესამე ადგილისთვის მატჩში "ბაიერნთან" მოგვიწია შებმა. ამ შეხვედრაში თავლნათლივ გამოჩნდა "დინამოს" ტექნიკური უპირატესობა. პირველი ბურთი პენალტით შევაგდეთ. თამაზ კოსტავამ აუტიდან მომაწოდა, ბურთი ქუსლით მცველებს თავზე გადავუგდე და საჯარიმოში შევიჭერი. გერმანელებმა მომცელეს და შენგელიას კვლავ არ გასჭირვებია პენალტის გატანა. მალე პაულ ბრაიტნერმა გაათანაბრა, თუმცა, საყაიმო ანგარიში ტაბლოს დიდხანს არ შერჩენია. კვლავ ჩემი გადაცემით რამაზმა მეორედ აიღო იუნგჰანსის კარი. აქ მიუნხენელებმა აშკარად დაინახეს, რომ შანსი არ ჰქონდათ და მსაჯთან პრეტენზიის გამოთქმა დაიწყეს. ერთ-ერთ ეპიზოდში გია თავაძისა და ბაიერნელის შეჯახების შემდეგ არბიტრმა ჯარიმა ჩვენ სასარგებლოდ დანიშნა, რამაც მიუნხენელთა აღშფოთება (ჩემი აზრით, სრულიად უსაფუძვლო) გამოიწვია და გუნდის კაპიტანმა ბრაიტნერმა თანაგუნდელები მინდვრიდან გაიყვანა. მადრიდელმა გულშემატკივარმა "ბაიერნი" თეთრი ცხირსახოცების ფრიალით გააცილა, რაც კაპიტულაციის ნიშანია. დაახლოებით 20 წუთი მინდვრიდან ფეხი არ მოგვიცვლია, შემდეგ კი გასახდელში გავედით და უკვე შხაპი გვქონდა გადავლებული, როდესაც ნოდარ ახალკაცთან "ბაიერნის" ოფიციალური წარმომადგენელი მი-

ვიდა და თამაშის განახლება სთხოვა, ცხადია, ჩვენი დამრიგებელი ამას არ დასთანხმდა.

შემდეგ გაიმართა დაჯილდოების ცერემონიალი. რამაზ შენგელიას ტურნირის საუკეთესო მეგოლის ჯილდო გადასცეს და ჩემ გვარსაც მოვკარი ყური. თარჯიმანმა მითხრა, ლოჟასთან უნდა მიხვიდე და ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზს გადმოგცემენო.

ცოტა ხანში სასტუმროში დავბრუნდით და "რეალის" პრეზიდენტი, რამდენიმე თანმხლებ პირთან ერთად, გვეწვია. დელეგაციის წევრებმა ახალკაცთან და გუნდის უფროს კახი ასათიანთან საუბარი ითხოვეს. მალე მეც მიხმეს. მთავარმა მწვრთნელმა მადრიდელთა პრეზიდენტს ჩემი თავი წარუდგინა და მითხრა, "რეალს" შენი ყიდვა სურს, გამზადებული კონტრაქტიც მოგვიტანეს, რომელშიც სატრანსფერო თანხის ოდენობა ჩვენი მოთხოვნით ჩაიწერებაო. იმხანად, უცხოეთში კარიერის გაგრძელება წარმოუდგენელი რამ გახლდათ და მეც "რეალის" პრეზიდენტს თავაზიანი უარი ვუთხარი – "დინამოში" კმაყოფილი ვიყავი და სხვაგან წასვლას არ ვაპირებდი. ამის შემდეგ მადრიდელთა ხელმძღვანელობამ ახალკაცს მიმართა, გუცაევი ორწლიანი იჯარით ჩვენთან გამოუშვით, ხელფასზე პირადად მასთან მოვილაპარაკებთ, სანაცვლოდ კი "დინამოში" ხუანიტოსა და სანტილიანას გამოვუშვებთო. ცხადია, ეს შეთავაზებაც უარყოფილ იქნა".

... ფლანგური გარღვევის შემდეგ გუცაევის დროული და ზუსტი პასების შემდეგ არაერთხელ დაუმწუხრებიათ მეტოქეთა მეკარეები გივი ნოდიას, რამაზ შენგელიას, რევაზ ჩელებაძესა და "დინამოს" სხვა ცენტრფორვარდებს, თუმცა, გუნდის პრაქტიკულად ყველა პრინციპულ მატჩში ვოვა მინდორს უგოლოდ არ ტოვებდა. ამის საილუსტრაციოდ გონების დაძაბვა ნაღდად არ დაგვჭირდება. 1981 წლის გაზაფხულზე თბილისის "დინამომ" საკუთარ მდიდარ საფეხბურთო ისტორიაში ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია. თასების თასის მოპოვებისკენ მიმავალ გზაზე ჩვენებმა "ვესტ ჰემს", "ფეიენოორდს" და "კარლ ცაისს" სძლიეს. ამ რთულად დასაძლევ ოპონენტთა კარებში გუცაევმა გოლების გატანა შეძლო. 1979 წლის შემოდგომაზე მან ასევე მოახერხა "ლივერპულისა" და "ჰამბურგის" მეკარეთა დამწუხრება. ხაზგასასმელია "დინამოს" მიერ 1976 წელს საკავშირო თასის მოპოვების საქმეში ვლადიმერის დამსახურებაც. ნახევარფინალში ახალკაცის გუნდი დონეცკს ეწვია, სადაც "მეშახტის დღეს" იქაურ "შახტიორს" დაუპირისპირდა. დინამოელებმა იმ შეხვედრაში უკრაინულ გუნდს საფეხბურთო გაკვეთილი ჩაუტარეს. თამაში ჩვენებმა 2:0 მოიგეს, გოლები კი დავით ყიფიანმა და ვლადიმერ გუცაევმა გაიტანეს. 2 სექტემბერს "ლუჟნიკში" ჩატარებულ ფინალს რაც შეეხება, მეორე ტაიმში "არარატის" მცველებმა საჯარიმოში მეტეორივით შეჭრილი გუცაევის შეჩერება მხოლოდ სარმით შეძლეს, რასაც ფირუზ კანთელაძის რელიზებული პენალტი და 2:0 მოჰყვა.

ალექსანდრე ჩივაძე, ვლადიმერ გუცაევი და დავით ყიფიანი

ზემოთ გუცაევის წინააღმდეგ მეტოქეთა მცველების დაუფარავი უხეში თამაში ვახსენეთ. სწორედ ამის გამო "დინამოს" "ცხრიანს" სეზონის მსვლელობისას ბევრი მატჩის გამოტოვება უწევდა. ვოვას, მისი სათაყვანებელი ფეხბურთელის, სლავა მეტრეველის დარად 36 წლამდე სურდა "დინამოს" მაისურის მორგება, თუმცა, ტრავმებმა ლამაზი საფეხბურთო კარიერა უფრო ადრე დაასრულებინა. მოსწრებით კი გუცაევმა იმდენი შეძლო, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რამდენიმე მოთამაშეს ეყოფოდა. ვლადიმერ გუცაევმა 1981 წელს თასების თასი მოიგო, 1978-ში – საკავშირო ჩემპიონატი. ორჯერ დაეუფლა საბჭოთა კავშირის თასს (1976, 1979), 1977 წლის სეზონის დასრულების შემდეგ მკერდი ვერცხლის მედლით დაიმშვენა, ხოლო საკავშირო პირველობების "ბრინჯაო" გუცაევს ოთხჯერ აქვს მოპოვებული. უმაღლეს ლიგაში ვოვამ 303 მატჩი ჩაატარა და ამ მაჩვენებლით მხოლოდ "დინამოს" ორ ლეგენდარულ კაპიტანს ავთანდილ ღოღობერიძესა (340) და მანუჩარ მაჩაიძეს (320) ჩამორჩება.

ყველაფერ ამას კი საფუძველი ვლადიმერ გუცაევის ადრეულ ბავშვობაში ჩაეყარა – 11 წლისა "ნორჩ დინამოელში" გრიგოლ გაგუასთან მივიდა და მეკარეობის ოცნებაც გაუმხილა. გამოცდილმა დამრიგებელმა ბიჭუნას წინ თამაში ურჩია და არც შემცდარა. ვოვა თანატოლებში აშკარად გამოირჩეოდა, საშუალო სასწავლებლის ბოლო 2 წელი ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლაში ვლადიმერ ელოშვილთან გაატარა, რომელმაც "დინამოს" მაშინდელ დამრიგებელს გივი ჩოხელს გუცაევის საქმეში ხილვა შესთავაზა. ჩოხელთან ერთად ვლადიმერის თამაში ნიაზ ძიაპშიპამაც ნახა და მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულების შემდეგ 17 წლის მარჯვენაფლაგელს დიღმის ბაზაზე მისვლა სთხოვეს. 1971 წელს გუნდში გავრიილ კაჩალინი მივიდა. იგი ახალგაზრდა ფეხბურთელებს აწინაურებდა და მათ შორის გუცაევიც მოხვდა...

... ვლადიმერ გუცაევს ნაყოფიერი სამწვრთნელო კარიერაც ჰქონდა. იგი საქართველოს ეროვნულ და 21 წლამდელთა ნაკრებებს ედგა სათავეში. ამ გუნდების ყველაზე დიდი წარმატება სწორედ გუცაევის სახელს უკავშირდება. 1997 წელს ჩვენმა ახალგაზრდულმა ნაკრებმა იტალიელ თანატოლებს ლამაზ სტილში 2:0 მოუგო. არადა, იმ მატჩში აპენინელთა რიგებში: ბუფონი, ფიორე, ტაკინარდი, ლუკარელი, ლოკატელი გამოდიოდნენ. საქართველოს ეროვნულ გუნდს რაც შეეხება, ნაკრებმა 1998 წელს მალტის საერთაშორისო ტურნირი ალბანეთის (3:0), ლატვიის (2:0) და მალტის (3:1) ძლევის შემდეგ მოიგო.

უკვე 27 წელია ვლადიმერ გუცაევი სათამაშოდ არ გადის, მაგრამ დღესაც ნათლად გვახსოვს მოწინააღმდეგის კარისკენ გაჭრილი მარჯვენაფლანგელი, რომლის განეიტრალების რეცეპტს მცველებმა ვერა და ვერ მიაგნეს...

გოჩა კაჭარავა

წარსული

კორიფეთა მოგონებანი

სლავა მეტრეველი: ტექნიკით ბავშვობიდანვე გამოვირჩეოდი. საიდან მივაღწიე ამას? მართალი გითხრათ, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მიჭირს. იქნებ ეს ბუნებით დამყვა, ან დღედაღამე ბურთის დევნით გამომიმუშავდა? არ ვიცი! ერთი კია, რომ ფეხბურთის თამაშის დროს ჩემზე ბევრად დიდ ბიჭებსაც ადვილად ვატყუებდი.

16 წლისა რომ გავხდი, გორკის „ტორპედოში“ მიმიწვიეს სათამაშოდ. ტექნიკით აქაც გამოვირჩეოდი, მაგრამ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდში მარტო ეს როდი კმარა. მალე გამოირკვა, რომ სისწრაფე სრულიად არ გამაჩნდა. მაგალითად, ას მეტრზე რბენაში ყველა მჯობნიდა. ამ მანძილის გარბენას 14,5 წამს ვანდომებდი. როგორ არ ვეცადე, მაგრამ შედეგი კარგა ხანს ვერ გავაუმჯობესე. გამოსავალი თითქმის არ ჩანდა. ბოლოს, გუნდიდან წასვლა გადავწყვიტე, მაგრამ ჩემი მწვრთნელი თურმე სხვაგვარად ფიქრობდა. ერთ მშვენიერ დღეს მან მძლეოსნობის სპეციალისტს მიმაბარა.

წელიწადნახევრის განმავლობაში სტადიონზე ყოველ დღე დილის რვა საათზე მივდიოდი და რბენაში ვვარჯიშობდი. ეს დიდად დამეხმარა. და აი, ერთ-ერთ შეჯიბრებაში ას მეტრზე რბენაში ყველას ვაჯობე. დისტანცია 11,2 წამში გავირბინე. თავი გამოვიჩინე 30 და 60 მეტრ მანძილებზე რბენაშიც.

მალე გუნდის წევრებს შორის საუკეთესო მხტომელის სახელიც მოვიპოვე. ადვილად ვძლევდი ჩემს სიმაღლეზე გადებულ თამასას. ეს კი მაღალი ბურთისათვის ბრძოლაში მეხმარებოდა.

ერთი სიტყვით, დაძაბული წვრთნით შევიძინე სისწრაფე, გამომიმუშავდა მაღალ ბურთზე თავით მიწვდომის უნარი; თუ ამას ტექნიკასაც დავუმატებთ, სხვა რაღაა საჭირო ფეხბურთელისთვის?

მიხეილ მესხი: რაც თავი მახსოვს, ბურთს ვთამაშობ. ერთი წლის რომ ვყოფილვარ, მამას საჩუქრად რეზინის წითელი ბურთი მოუტანია. ფეხის ადგმისთანავე მისთვის დევნა დამიწყია.

ცოტა რომ წამოვიზარდე, დედა მიყვებოდა: ტირილის დაწყების დროს ვერაფერი მაჩერებდა, ვერც ტკბილეული, ვერც ბრჭყვიალა სათამაშოები, მაგრამ, მომცემდნენ თუ არა ბურთს, იმ წამსვე ვწყნარდებოდი თურმე.

სკოლაში რომ შემიყვანეს, „დედა-ენის“ შესწავლასთან ერთად ფეხბურთის თამაშიც დავიწყე. ბიჭები ერთმანეთს ვეჯიბრებოდით „ავჭალურში“, ბურთის ტარებაში, „ჟონგლიორობაში“... დავდევდით პეპლებს, რაც ზიგზაგებით რბენას მაჩვევდა. გაქცეულ ქათამზე გამოდევნებამ ცრუმოძრაობანი

მიხეილ მესხი და სლავა მეტრეველი

განმივითარა, რაც ფეხბურთელისთვის ძალიან საჭირო. ეს ერთ-ერთი საუკეთესო ვარჯიშია. რამდენ რთულ მოძრაობას აკეთებს მამალი, რამდენჯერ იცვლის მოულოდნელად მიმართულებას, რამდენჯერ უცებ ჩერდება.

ბავშობიდანვე ვცდილობდი ყველაფერში ტყავის ბურთის ბრწყინვალე ოსტატებისთვის მიმებაძა. ბორის პაიჭაძეს მოწინააღმდეგის გვერდის ავლაში, დრიბლინგებსა და მცველების ფეხებს შორის ბურთის გაძვრომაში ვბაძავდი. გაიოზ ჯეჯელავას მსგავსად ვცდილობდი რამდენიმე მეტოქე ერთად მომეტყუებინა და ბურთი მეტოქის კარისაკენ პირუკუღმა დამერტყა.

გაკვეთილების შემდეგ ბიჭები სკოლის ეზოში ვრჩებოდით და „არჩევანი-არადანის“ შემდეგ ფეხბურთს ვაჩაღებდით. თამაშისას არავითარ სიძნელეებს არ ვუშინდებოდით. ვთამაშობდით რეზინის ბურთით. ძელების მაგივრობას ქვები და სასკოლო ჩანთები გვიწევდა. მაშინ ნამდვილ ძელებზე და ბადეზე ოცნებაც არ შეგვეძლო. ხშირად, შიშველი ფეხით ვთამაშობდით – რა თქმა უნდა, უგეტრებოდ და უბუცებოდ.

მაშინ არც მწვრთნელი მყოლია, არც ვინმე ხელმძღვანელი. ასე ვთამაშობდი 1951 წლამდე, სანამ თბილისის 35-ე საფეხბურთო სკოლაში არ გადავედი. იქ პირველად ჩავიცვი ბუცები, გეტრები, ნამდვილი საფეხბურთო ფორმა.

დავით ყიფიანი: ერთხელ მამამ თბილისის „დინამოს“ თამაშზე წამიყვანა. ჩემი ყურადღება მატჩის პირველსავე წუთებში დინამოელთა მარცხენა გარემარბმა მიიპყრო. იგი ტექნიკურად, გააზრებულად და რამაც ყველაზე მეტად მომხიბლა, ძალიან ლამაზად თამაშობდა. მეთერთმეტე ნომერი ხშირად ორ, ზოგჯერ სამ მცველსაც ატყუებდა და მეტოქის კარის წინ ბურთს ოსტატურად ჩაჰკიდებდა ხოლმე.

– ვინ არის ეს ფეხბურთელი? – ვკითხე მამას აღტაცებულმა.

– მიხეილ მესხი, – მითხრა მან და გამიღიმა.

იმ დღიდან მიხეილ მესხი ჩემი კერპი გახდა. ვცდილობდი მისთვის მიმებაძა და მეც მის მსგავს ფეხბურთელობაზე ვოცნებობდი. თავს არ ვზოგავდი. შევიკრიბებოდით ჩვენი ქუჩის ბიჭები ეზოში და ვთამაშობდით. მალე ჩემს სპორტულ მაისურზე მესხის ნომერი – „11“ გაჩნდა და სულ ამით ვთამაშობდი.

ეზოს „გუნდში“ კარგახანს გამოვდიოდი, სანამ ერთხელ მამამ ფეხბურთის სექციაში არ მიმიყვანა. მწვრთნელმა ამხედ-დამხედა, ერთი-ორჯერ ბურთზეც დამარტყმევინა და ჯგუფში ჩამწერა – ეს მწვრთნელი ფირუზ ჭელიძე გახლდათ. სწორედ მას ვუმადლი, რომ ფეხბურთელი გავხდი და თბილისის „დინამოსა“ და სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში გამოვდივარ.

სექციაში რომ ჩავეწერე, 13 წლისა ვიყავი, მეექვსე კლასში ვსწავლობდი. ფეხბურთი სისტემატურ ვარჯიშს მოითხოვდა, მაგრამ ამას სწავლისთვის ხელი არ შეუშლია. ჩემს დღიურში სამიანს ვერ იპოვიდით.

დავამთავრე სკოლა. სწავლა უმაღლეს სასწავლებელში განვაგრძე. კვლავ დაძაბული ვარჯიში და ბოლოს ასრულდა ჩემი სანუკვარი ოცნება. თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში მოვხვდი. ერთი-ორი მატჩი ძირითად შემადგენლობაშიც მათამაშეს მწვრთნელებმა, მაგრამ ეს იყო და ეს... იმედი ვერ გავუმართლე მათ.

რამდენიმე თვემ გაიარა და „ა“ კლასის პირველი ლიგის გუნდში – თბილისის „ლოკომოტივში“ გადამიყვანეს. ჩემს ადგილზე ზოგიერთს დროებითი წარუმატებლობით გული გაუტყდებოდა, მაგრამ მე ეს არ დამმართნია. „ლოკომოტივში“ ვარჯიში მეტი მონდომებით განვაგრძე. მტკიცედ მწამდა, რომ მალე ისევ მიმიწვევდნენ თბილისის „დინამოში“.

„ლოკომოტივში“ მწვრთნელად მაშინ ნოდარ ახალკაცი მუშაობდა. ოსტატობას მისი და ფირუზ ჭელიძის დახმარებით ვიმაღლებდი. და აი, ერთი წლის დაძაბული წვრთნის შემდეგ კვლავ ჩემს საყვარელ გუნდში ვარ. მას შემდეგ თბილისის „დინამოს“ მაისური არ გამიხდია. მერე სსრ კავშირის ნაკრების წევრიც გავხდი...

სპორტზეზეპზოან

ბურთით კოლექტიური თამაში აღნიშნულია ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ჩინეთსა და იაპონიაში. ფარაონების არსებობის ხანაში ეგვიპტესა და უძველეს სპარსეთში იმართებოდა ბურთით ასპარეზობა. ანტიკურ საბერძნეთში ერთ-ერთი მიმზიდველი და საყვარელი ბურთით გუნდური თამაში გახლდათ „ეპისკიროსი“. რომის იმპერიაში მოსამსახურე რომაელი ლეგიონერები ვალდებული იყვნენ შეესწავლათ ე.წ. თამაში „ჰარპასტუმი“, რათა სულ მუდამ მზად ყოფილიყვნენ და სხვადასხვა საბრძოლო ელემენტის დასამუშავებლად ვარჯიში გაადვილებოდათ. სწორედ რომაელი ლეგიონერები იყვნენ იმის მოთავენი, რომ ძველი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნის მიჯნაზე „ჰარპასტუმი“ დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე შეიტანეს. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა სწრაფად შეისწავლეს და აითვისეს რომაული თამაში; იგი ინგლისში დამკვიდრდა, საკმაოდ პოპულარული გახდა, თანდათან სპორტის სახალხო სახეობად იქცა და მიიღო გამოკვეთილი ინგლისური სახელწოდება „Football”. იმ დროს სტაბილური სათამაშო მოედნები არ იყო. თამაშობდნენ ქუჩებში და, საერთოდ, ყველგან, სადაც მოესურვებოდათ. ინგლისის მმართველი წრეები და ეკლესია იმხანებში ყოველთვის როდი იყო კეთილგანწყობილი ფეხბურთისადმი, მალე კი უარესიც მოხდა: დღემდე შემონახულია დოკუმენტები ფეხბურთის აკრძალვის შესახებ, აპატიმრებდნენ კიდეც მოთამაშეებს. მაგრამ ფეხბურთს არსებობა არ შეუწყვეტია. მართალია, გარკვეული დროის მანძილზე მან დაკარგა თავისი მასობრივი ხასიათი, მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს მტკიცედ მოიკიდა ფეხი ინგლისის სკოლებში. გასული საუკუნის ორმოციან წლებში ინგლისში შეიქმნა ფეხბურთის სკოლისგარეშე კლუბები, რომლებმაც უდიდესი როლი შეასრულეს სპორტის ამ სახეობის განვითარების საქმეში. ფეხბურთის ბაზა თანდათანობით მომძლავრდა. ორგანიზებული კომპლექსების კავშირები, რომლებიც ერთმანეთთან ფეხბურთით იყვნენ დაკავშირებული, საზოგადოებრიობისა და ხალხისათვის უფრო საინტერესო და შემოქმედებითი გახდა; ამიტომ საჭირო შეიქნა ჩამოყალიბებულიყო ერთიანი ხელმძღვანელი ორგანო. სწორედ ამან განაპირობა, რომ 1863 წლის 20 ოქტომბერს ინგლისში დაარსდა ფეხბურთის ასოციაცია. ინგლისიდან ფეხბურთი გავრცელდა ჯერ ბრიტანეთის კუნძულებზე, სადაც ასევე წარმოიშვა წამყვანი ორგანოები. უკვე 1873 წელს შეიქმნა შოტლანდიის ფეხბურთის ასოციაცია, 1875 წელს – უელსის ფეხბურთის ასოციაცია, და ბოლოს, 1880 წელს დიდი ბრიტანეთის კუნძულების ბაზაზე გაერთიანდა ყველა პატარ-პატარა კავშირი და ერთიან ასოციაციად ჩამოყალიბდა, რომელსაც ირლანდიის ფეხბურთის



ასოციაცია ეწოდა. დამოუკიდებელი ირლანდიის შექმნის შემდეგ კი ფეხბურთის ასოციაცია შუაზე გაიყო. მას შემდეგ ჩრდილოეთ ირლანდიის ტერიტორიაზე ფეხბურთის საქმიანობას წარმართავს ირლანდიის ფეხბურთის ასოციაცია, რომლის ცენტრი გახდა ქალაქი ბელფასტი, ხოლო დამოუკიდებელი ირლანდიის ტერიტორიაზე სპორტის ამ სახეობას 1924 წლიდან ხელმძღვანელობს ახალი ასოციაცია, რომლის ცენტრი ქალაქ დუბლინშია. დიდი ბრიტანეთის კუნძულებიდან ფეხბურთი თავდაპირველად ევროპის კონტინენტზე შემოვიდა. ფეხბურთის პირველი ასოციაცია 1889 წელს შეიქმნა დანიაში. ფეხბურთის პოპულარობა შესამჩნევად იზრდებოდა და თანდათან ეს თამაში შემოიჭრა კონტინენტის სხვა ქვეყნებშიც. ფეხბურთის ხელმძღვანელი ორგანოების რაოდენობა უკვე სოლიდურად გაიზარდა. მათი საერთო მოქმედებისა და კოორდინირების უკეთ წარმართვის მიზნით 1904 წელს შეიქმნა დღევანდელი მსოფლიო საფეხბურთო ცენტრი – ფეხბურთის ასოციაციათა საერთაშორისო ფედერაცია „ფიფა“. სპორტულ კავშირურთიერთობის გაფართოებისა და გაღრმავების , აგრეთვე სისტემატური რეგიონალური ასპარეზობის მიზნით წარმოიშვა სპეციფიკური რეგიონალური პრობლემები, რომელთა ოპერატიულად გადაჭრა ერთიან მსოფლიო ცენტრს ძალზე გაუძნელდა. ფეხბურთის სამყარო იძულებული შეიქნა დანაწევრებულიყო რამდენიმე კონფედერაციად, რომელთაგან თითოეული გააერთიანებდა ფეხბურთის ასოციაციებს განსაზღვრულ გეოგრაფიულ ფარგლებში მოქცეულ ოლქებად. ცალკეული ქვეყნების ეროვნული ასოციაციები შემდგომში მსოფლიო საფეხბურთო ორგანიზაციის – ფიფას წევრები გახდნენ. ფეხბურთის საკონტინენტთაშორისო ექვსი კონფედერაციიდან ისტორიულად ყველაზე დიდი ხნისაა სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაცია „კონმებოლი“. მისი არგენტინული ასოციაცია ჯერ კიდევ 1893 წელს დაარსდა. ფეხბურთის წესების განვითარება მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში თამაშის წესები ჯერ კიდევ არ იყო ერთიანი. სკოლები და ქალაქები ფეხბურთს თამაშობდნენ საკუთარი წესებით. თუმცა ეს ადგილობრივი წესები თავიანთი შინაარსითა და მდგომარეობით ერთი ძირითადისაგან თითქმის არ განსხვავდებოდნენ. გუნდები თამაშის დაწყებამდე ვალდებული იყვნენ წინასწარ შეთანხმებულიყვნენ გარკვეული წესების დასაცავად. პირველი ცდა თამაშის წესების ერთიან სისტემაში თავმოსაყრელად მოხდა 1848 წელს კემბრიჯის უნივერსიტეტში. სამწუხაროდ, ამ წესებს (ე.წ. „ კემბრიჯული წესები“) ჩვენამდე არ მოუღწევია. მაგრამ სწორედ ამ მასალებზე დაყრდნობით 1862 წელს ქალაქ უპნინჰემის პროფესორმა ფრინგმა შეადგინა 8-პუნქტიანი თამაშის წესები. პროფესორ ფრინგის წესები ძირითადად ეხებოდა სადავო საკითხებს, ხოლო არასადავო საკითხები შენიშვნებშიც კი არ იყო მოხსენებული. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის პირველი ამოცანა იყო საერთო აზრის შექმნა თამაშის წესების ირგვლივ. საჭირო გახდა შეემუშავებინათ ერთიანი ნორმა, რომელიც ყველა ორგანიზაციისათვის მისაღები იქნებოდა . ოქტომბერ-დეკემბერში გამართულ ხუთ სხდომაზე პროფესორ ფრინგის წესების საფუძველზე საბოლოოდ დააზუსტეს და მიიღეს ფეხბურთში პირველი ოფიციალური წესები, რომლებიც 1863 წლის 8 დეკემბრიდან დაკანონდა და ძალაში შევიდა. ამ წესებშიც ბევრი გადაუწყვეტელი საკითხი ღიად დარჩა. 8 დეკემბრის დებულება 15 პუნქტისაგან შედგებოდა. 1882 წლამდე ინგლისის ფეხბურთისასოციაცია აუცილებელ ცვლილებებსა და დამატებებს ახდენდა. ფეხბურთის ასოციაციის შექმნის შემდეგ შოტლანდიაში, უელსსა და 1882 წელს ირლანდიაში დაარსდა სპეციალური ორგანო – ფეხბურთის წესების საერთაშორისო კომიტეტი. სხდომას წარმართავდა ბრიტანეთის ასოციაციის ოთხი წარმომადგენელი. ამ ორგანოს გადაწყვეტილება ყველ-

ასათვის მისაღები და აუცილებელი იყო. 1904 წელს ფიფას დაარსების შემდეგ ბრიტანეთის გარე ქვეყნების ფეხბურთმა სულ უფრო მეტი მნიშვნელობა და ძალა მოიპოვა საერთაშორისო სარბიელზე. ამიტომ გარკვეული დროის შემდეგ ფიფამ, როგორც იქნა, მიაღწია მონაწილეობა მიეღო ფეხბურთის წესების საერთაშორისოკომიტეტის მუშაობაში და თავისი სიტყვა ეთქვა. პირველი გამარჯვება მან მოიპოვა მხოლოდ 1913 წელს, როცა საერთაშორისო კომიტეტის შემადგენლობას დაემატა ფიფას ერთი წარმომადგენელი ხმის უფლებით. პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდში ფიფას წევრთა რიცხვი ორჯერ გაიზარდა. ძალთა თანაფარდობა ბრიტანეთსა და დანარჩენ ასოციაციათა შორის სულ უფრო ხელსაყრელი ხდებოდა ფიფასთვის. ამიტომ 1957 წელს საფუძვლიანად შეიცვალა საერთაშორისო კომიტეტის სტრუქტურა და ასევე ცალკეული დელეგატების დებულება.

ფუნდი

ლუის ენრიკეს ბარსელონა

ბოლო ათი წლის განმავლობაში ახალბედა გამოუცდელი მწვრთნელები საფეხბურთო კლუბ „ბარსელონას“ შთამბეჭდავად და ლამაზად ათამაშებდნენ. ფრენკ რაიკაარდის მიერ გაწვრთნილმა გუნდმა, რომელიც რონალდინიოს „ჯადოქრობით“ იყო „შეკაზმული“ – იმ დროისათვის დაცვით სათამაშო სტილზე გადასული საფეხბურთო სამყარო გაალამაზა და შემტევი ფეხბურთისკენ გამოახედა... ტექნიკურმა, კომბინაციურმა, შემტევმა თამაშმა გუნდს ტიტულებიც მოუტანა. რაც მთავარია, რაიკაარდის ფორმაციის „ბარსელონა“ ისტორიაში მეორედ დაეუფლა ევროპული ფეხბურთის უმაღლეს ჯილდოს – ჩემპიონთა ლიგის თასს.

რაიკაარდის შემდეგ „ბარსელონაში ხოსეპ გვარდიოლა მოვიდა. მან ჰოლანდიელის მიერ გაძლიერებული, მსოფლიოს მოწინავე გუნდად ქცეული მშობლიური კლუბი კიდევ უფრო გააძლიერა და „ბარსელონას“ თამაში უფრო სანახაობრივი გახადა. გვარდიოლას გუნდმა ბურთის უზადო ფლობა დაიწყო, ხანდახან სამი, ოთხი, ხუთი წუთის განმავლობაში „ბარსას“ მოთამაშეები ბურთს არ კარგავდნენ, ასრულებდნენ უამრავ გადაცემას და იტანდნენ მრავალ გოლს. შედეგად კი გუნდმა ყველაფერი მოიგო რისი მოგებაც შეიძლებოდა, თან მოიგო არაერთხელ. გვარდიოლას ფორმაციის „ბარსელონამ“ მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე ლამაზად და შედეგიანად მოთამაშე გუნდის სახელით დაიდო ბინა.

აწგანსვენებულმა ტიტო ვილანოვამ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო სრულფასოვნად გუნდის გაძღოლა ვერ შეძლო, თუმცა იმ ერთ სეზონში, როდესაც ის გუნდის მთავარი მწვრთნელი იყო „ბარსელონამ“ ქვეყნის ჩემპიონატი დამაჯერებლად, უდიდესი სხვაობით მოიგო. მსგავსი უპირატესობით რაიკაარდისა და გვარდიოლას დროინდელ გუნდებსაც არ მიუღწევიათ წარმატებისთვის ესპანეთის ჩემპიონატში. შემდეგ ტატა მარტინო მოვიდა, რომელიც მისი წინამორბედებისგან განსხვავებით ახალბედა მწვრთნელი ნამდვილად არ იყო. გამოცდილმა მარტინომ „ბარსელონას“ ვერაფერი მოაგებინა და კლუბის ხელმძღვანელობამ მის მაგივრად კიდევ ერთი ახალგაზრდა, გამოუცდელი მწვრთნელი, გუნდის ყოფილი მოთამაშე ლუის ენრიკე ჩაუყენა კატალონიურ „გრანდს“ სათავეში.

ლუის ენრიკემ „ბარსელონა“ კვლავ ძველებურად აათამაშა. „ბარსამ“ 2014-2015 წლების ესპანეთის ჩემპიონატის საწყის რვა შეხვედრაში შვიდი თამაში მოიგო და ერთხელ ფრედ ითამაშა. გაიტანა 22 გოლი, ხოლო საკუთარ კარში არც ერთი ბურთი არ გაუშვა. დამეთანხმებით რვა შეხვედრაში კარის მშრალად შენახვა დაცვის მწყობრ და შეთანხმებულ თამაშზე, ასევე მეკარის სტაბილურ და ძლიერ ასპარეზობაზე მიუთითებს. „ბარსელონა“ მუდამ შემტევი სტილის ერთგული იყო და დაცვაში დამაჯერებელი თამაშით არასდროს გამოირჩეოდა. ლუის ენრიკემ სიტუაცია ამ მხრივ შეცვალა და დღესდღეობით კატალონიელთა მთავარი გუნდი მსოფლიოში ყველაზე კარგად იცავს თავს. დაცვაში წარმატებით მოქმედებებს შეტევაში შედეგიანი თამაშიც ემატება, რაც პირველ რიგში მესისა და ნეიმარის ბრწყინვალე თამაშის დამსახურებაა. არგენტინელი და ბრაზილიელი გოლს გოლზე იტანენ და შეტევების წამოწყებაშიც შესანიშნავად იღებენ მონაწილეობას...

ლუის ენრიკეს მიერ გაწვრთნილი გუნდის თამაშში შეინიშნება ის ელვარება, რომელიც ყველაზე მეტად ხიბლავს ფეხბურთის ჭეშმარიტ ქომაგს. მრავალსვლიანმა კომბინაციებმა, ულამაზესმა გოლებმა და საკუთარი კარის საიმედოდ დაცვამ ძნელია არ აღაფრთოვანოს გულშემატკივარი. არ დაგვავიწყდეს – კატალონიელებს ისეთი „მტაცებელი“ დაუბრუნდათ, როგორიც ლუის სუარესია და აქედან გამომდინარე უნდა ვივარაუდოდ, რომ ლუის ენრიკეს „ბარსელონა“ დიდების კვარცხლბეკზე ასვლას შეძლებს.

ტარიელ კინწურაშვილი

საფეხბურთო ბიბლიოთეკა

ფეხბურთის სამშობლოში

ნაწყვეტი ვყრამ ფანჯიკიძის წიგნიდან „ფორტა ოკვალია".

ძნელია კაცმა აღწეროს ის ამბავი, რაც ლონდონში ფინალური მატჩის შემდეგ ხდებოდა. მე მგონი, აქ სჯობია თვითონ ინგლისელების შედარება მოვიშველიოთ, მეორე დღეს „ტაიმსის" პირველ გვერდს უზარმაზარი ასოებით აწყობილი სათაური ამშვენებდა – „ლონდონი ჭკუიდან შეიშალა". მართლაც, იმ საღამოს ლონდონის ქუჩებში წარმოუდგენელი ამბავი ხდებოდა. სიდინჯით განთქმული ინგლისელები პატარა ბავშვებს ჰგავდნენ. კრომველ-სტრიტზე და ოქსფორდ-სტრიტზე ტევა აღარ იყო. ისმოდა მანქანების საყვირების გაბმული და გამაყრუებელი ხმა. "ინგლანდ!" – ყვიროდნენ ხმაჩახლეჩილი გულშემატკივრები. ეს სტიქიური საზეიმო დემონსტრაცია იწყებოდა ფეშენებელური შენობიდან სადაც, გამარჯვებულთა საპატივცემულოდ ბანკეტი გადაიხადეს, და გრძელდებოდა პიკადილამდე და ტრაფალგარ-სკვერამდე. უამრავი ხალხი მოაწყდა „ოტელ როიალ გარდენს". ორმეტრიანი პოლიციელების ცოცხალი კედელი ძლივს იგერიებდა სიხარულისაგან გონებადაკარგულ გულშემატკივრებს. "რამსეი", „ბობ ჩარლტონ", „ბობ მურ!" – ყვიროდნენ ისინი. და აი, აივანზე გამოჩნდნენ ახალი მსოფლიო ჩემპიონები, პრემიერ-მინისტრი ვილსონი, ფეხბურთელების ცოლები და ჩემპიონატის გმირი – პატარა თეთრი ძაღლი, რომელმაც შეშინებული ქურდის მიერ ბაღში გადაგდებული ოქროს ქალღმერთი იპოვა. ხელიდან ხელში გადადიოდა დიდი ხნის ნანატრი ჯილდო, ჟიულ რიმეს თასი.

გამოჩნდა მოკრძალებული რამსეიც, ინგლისელთა მწვრთნელი და მხედარმთავარი.

„რამსეი, რამსეი, რამსეი!" – დასჭექა ხალხმა.

იგი უხერხულად იღიმებოდა და იშმუშნებოდა. მე შორიდან ისიც კი მომეჩვენა, თითქოს ტირილს ძლივს იკავებდა.

ბობი მური ქალღმერთით ხელში

რამსეი ცნობილია როგორც მორიდებული, მორცხვი კაცი. ვინ იცის, იქნებ იგი სულაც არ არის ისეთი მორცხვი, როგორც ახლა გვეჩვენებოდა. სამწვრთნელო კარიერის მთელ მანძილზე ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ხალხი მის სახელს გაჰყვიროდა. ალბათ მსოფლიოს არც ერთი მწვრთნელი არ ულანძღიათ იმდენი, რამდენიც ალფ რამსეი ლანძღეს. ჯერ კიდევ ჩემპიონატის დაწყებამდე ოცი დღით ადრე ინგლისის პრესა ძალზე უნდობლად შეჰყურებდა ინგლისის ეროვნული ნაკრების გამარჯვების საქმეს. ურუგვაისთან საყაიმო ანგარიშის შემდეგ კი რამსეის ლანძღვა-გინებას ბოლო არ უჩანდა. ბევრი გაზეთი ფანატიკოსს და უვიცსაც უწოდებდა. მისი განცხადება – ინგლისი მსოფლიო ჩემპიონი გახდებაო, იმ დღეებში თითქოს ძალზე სასაცილოდ ეღერდა და გაცოფებული ჟურნალისტების საკბილოდ იქცა.

„ვისაც ურუგვაისთან ყაიმის შემდეგ ინგლისის გამარჯვებაში ეჭვი ეპარება, მას ფეხბურთი არ ესმის", – ოფიციალურად განაცხადა რამსეიმ.

და, აი, ახლა იგი იდგა ჰაიდ პარკის განაპირას ჩადგმულ ულამაზეს „ოტელ როიალ გარდენის" აივანზე. იდგა ბედნიერი და გამარჯვებული. იგი ზემოდან დასცქეროდა ილუმინაციით, ვიტრინებისა და რეკლამების შუქით გაჩირაღდნებულ, ხალხით გაჭედილ ქუჩას. გულშემატკივრები ხმაშეწყობილად გაჰყვიროდნენ მის სახელს და აფრიალებდნენ ინგლისის დროშებს.

როცა ფეხბურთელებმა აივანი დატოვეს, ჩვენ ტრაფალგარ-სკვერისაკენ გავემართეთ. ამ დროს ტაშმა იქუხა. უკან მოვიხედეთ და საოცარი სანახაობის მოწმენი გავხდით. მანქანების ორომტრიალში ძლივს მოიკვლევდა გზას გერმანელი გულშემატკივრების ავტოკოლონა. ყველა მანქანაზე დასავლეთ გერმანიის დროშა იყო დამაგრებული. ისინი საყვირებს გაბმულად აყვირებდნენ და რაღაცას გაიძახოდნენ. მეწინავე მანქანას ორი უზარმაზარი წარწერა ამშვენებდა – „ინგლისი ღირსეული ჩემპიონია, მაგრამ ინგლისი ვერასდროს ვერ დაამარცხებს გერმანიას!"

ლონდონელები კითხულობდნენ ამ წარწერას. ბევრ მათგანს კარგად ახსოვდა 1938 წელი, როცა ბერლინში გერმანელებმა ინგლისის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელები აიძულეს გერმანიის ჰიმნზე გაჭიმულიყვნენ და სვასტიკისაკენ ნაცისტური მანერით აეწიათ ხელი.

ინგლისელებს ახლაც თვალწინ აქვთ გერმანელების ბომბით ჩამონგრეული პარლამენტის თაღი, რომელიც ჩერჩილის წინადადებით დატოვეს მეორე მსოფლიო ომის მოსაგონრად.

ინგლისელებს ყველაფერი კარგად ახსოვდათ, მაგრამ გერმანელების ავტოკოლონა მაინც ტაშით გააცილეს. ერთი წუთითაც არ ავიწყდებოდათ, რომ ისინი მასპინძლები იყვნენ, რომ ისინი გამარჯვებულები იყვნენ, რომ ისინი ინგლისელები იყვნენ.

პატარა, ვიწრო ქუჩაზე გადავუხ-

გაგრძელება გვ.16

მრავლისმეცნიერი ფაქტები



გივი ჩოხელის ძეგლი

თბილისის დინამოელები კოლუმბის
კარაველას დაეუფლნენ, 1973 წ.

კახა კალაძე და რონალდო

მადრიდის „რეალი“ თბილისში

მარადონას ხალი მაგნოლია

1982 წელი



1986 წელი

1990 წელი

1994 წელი

2010 წელი

ფეხბურთის სამშობლოში

ნაწყვეტი ვყრამ ფანჯიკიძის წიგნიდან „ფორკა ოქროსია".

⇐ მეცამეტე გვერდიდან

ვიეთ. ვიცოდით, ასეთ ჭედვაში ტრაფალგარ-სკვერს დილამდე ვერ მივაღწევდით. ქუჩაზე ახალგაზრდები მორბოდნენ და ინგლისის უზარმაზარ დროშას მოაფრიალებდნენ. დროშას ტარი არ ჰქონდა. ისინი ექვსნი იყვნენ. ოთხ მათგანს დროშისათვის კუთხეებში მოევლო ხელი და თავს ზემოთ აეტაცათ. ორნი შუაში იდგნენ.

„ინგლანდ!" – ყვიროდნენ ისინი.

მიხვდნენ, უცხოელები ვიყავით.

– იტალიანო? – დაგვიძახა ერთმა.

– ნო, ჯორჯია! – უპასუხა კოტე მახარაძემ.

– ჯორჯია! ჯორჯია! – დასჭექა ექვსივემ და გზა სირბილით გააგრძელეს.

როგორც იქნა, მივაღწიეთ ტრაფალგარ-სკვერს. ხალხი მღეროდა, ცეკვავდა, აუზებში ტანსაცმლიანად ბანაობდა. პოლიციელები ფრთხილობდნენ, თუმცა ხალხს არაფერს უშლიდნენ.

მოედნის შუაში კი იდგა ადმირალ ნელსონის ცაში ატყორცნილი ქანდაკება, რომლის ირგვლივ განლაგებული ოთხი უზარმაზარი ლომი თითქმის აღარ მოჩანდა. გულშემატკივრები ლომებს ზურგზე მოქცეოდნენ და ხმის ჩახლეჩამდე ყვიროდნენ – „ინგლანდ!"

დიახ, ინგლისი გამარჯვებას ზეიმობდა, გამარჯვებას, რომელიც ამ წუთში არაფრით ჩამოუვარდებოდა ტრაფალგარის ცნობილ ბრძოლაში მოპოვებულ გამარჯვებას.

„ამდენი ეკონომიკური გართულების შემდეგ ძლივს გაიხარა ინგლისელმა ხალხმა „ – წერდა ერთ-ერთი გაზეთი მეორე დღეს. მთავრობის მძიმე ეკონომიკური რეფორმებით განაწყენებულმა ავტორმა ეს საფეხბურთო სტატიაც გამოიყენა, რომ პრემიერ-მინისტრ ვილსონისათვის გაეკრა კბილი. ვილსონი კი აშკარად ვერ მალავდა სიხარულს. ფინალის დღეს ვაშინგტონიდან ჩამოფრინდა. მხოლოდ სადილობა მოასწრო და პირდაპირ „უემბლიზე" გაემგზავრა. ბანკეტზე მან თავის პატარა სიტყვაში თქვა: მე ვიწინასწარმეტყველე, რომ თამაში 2:1 დამთავრდებოდა ინგლისელების სასარგებლოდ, მაგრამ, რას იზამ, მხოლოდ ნახევარ წუთში მოვტყუვდიო.

დიდი ბრიტანეთის დედოფალი ინგლისელთა კაპიტანს ბობი მურს ოქროს ქალღმერთს გადასცემს

გულშმატკივრებს ალბათ კარგად ახსოვთ, რომ გერმანელებმა უკანასკნელ წამებში გაქვითეს ანგარიში.

საზეიმოდ იყო გაჩირაღდნებული ბუკინგამის სასახლე, ინგლისის დედოფლის რეზიდენცია.

მთელი ინგლისი გამარჯვებას ზეიმობდა. ბოლოს და ბოლოს, ფეხბურთის სამშობლო გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, ხოლო მისი კაპიტანი ოცდაოთხი წლის ბობი მური, რომელიც უკანასკნელ დღეებამდე არც კი შეჰყავდათ ერონული ნაკრების შემადგენლობაში, ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი. მასვე გადაეცა რომელიღაც ფირმის თუ გაზეთის ჯილდო – ბაჯაღლო ოქროს თასი. ინგლისელთა კაპიტანმა განაცხადა, ახლა კი მომიწევს გაძლიერებული დაცვის დაქირავება, რომ არ მომპარონ ეს ძვირფასი ჯილდოო.

ამ ირონიაში ცოტა როდი იყო სიმართლე. როდესაც დედოფალმა ბობი მურს ოქროს ქალღმერთი გადასცა, მის გვერდით ერთბაშად გაჩნდა ოთხი უზარმაზარი მამაკაცი. ისინი გადაცმული პოლიციელები იყვნენ. ფეხბურთელები სამეფო ლოჟიდან ისევ მოედანზე დაბრუნდნენ. პოლიციელები მათ ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ. ყველანი ერთმანეთს ჰკოცნიდნენ, ზურგზე ახტებოდნენ, ირგვლივ ფოტორეპორტიორების უზარმაზარი ბრბო ირეოდა. ყველა ფეხბურთელი ცდილობდა, სურათი ოქროს ქალღმერთით ხელში გადაეღო. საოცნებო თასი ხელიდან ხელში გადადიოდა. ოთხი მოსული პოლიციელი კი იქ აღიმართებოდა, სადაც თასი იმყოფებოდა. ბოლოს დაუკრეს ინგლისის ჰიმნი. ყველა იქ გაქვავდა, სადაც ჰიმნის პირველმა აკორდმა მოუსწრო. მხოლოდ ოთხმა პოლიციელმა გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, ისინი უფრო მოხერხებულად განლაგდნენ ბობი ჩარლტონის ირგვლივ, რომელსაც ამ მომენტში ინგლისის ქალღმერთი ეჭირა ხელში.

პოლიციელებს სიფხიზლე არც მაშინ შეუნელებიათ, როცა ნანატრი ჯილდო პრემიერ-მინისტრ ვილსონს ეჭირა „როიალ გარდენის" აივანზე. მეტი რა გზა ჰქონდათ, ინგლისის პოლიციამ ერთხელ უკვე იწვნია თასის გატაცებით გამოწვეული სირცხვილი და სიმწარე. ახლა განსაკუთრებით ფრთხილად უნდა ყოფილიყვნენ, თასი ხომ ოთხი წლის მანძილზე მათ ეკუთვნოდათ.

– ჩემმა ბიჭებმა გაიმარჯვეს იმიტომ, რომ ისინი ყველაზე სწრაფები და ძლიერები იყვნენ, – განაცხადა ალფ რამსეიმ მეორე დღეს. სამწუხაროდ, ასე როდი ფიქრობდა და ფიქრობს ბევრი ჟურნალისტი და ფეხბურთის სპეციალისტი. ჩვენმა მკითხველებმა კარგად იციან ის საპროტესტო გამოსვლები, განცხადებები და საჩივრები, რაც არგენტინელმა და ბევრი ქვეყნის ნაკრების ხელმძღვანელებმა გააკეთეს.

სსრკ ნაკრების კარს უტევს ეუსებიო

– ჩემპიონატი ძალზე კარგად იყო ორგანიზებული, უპრო მეტიც, იგი მეტისმეტად კარგად იყო ორგანიზებული! – ირონიულად განაცხადა ერთმა იტალიელმა ჟურნალისტმა. ამ „მეტისმეტად კარგ ორგანიზაციაში“ იგი ბევრ რამეს გულისხმობდა. ჰქონდათ თუ არა ჟურნალისტებსა და სპეციალისტებს ამ პროტესტისა და ირონიის უფლება? დიახ, ჰქონდათ და, აი რატომ;

ინგლისის ეროვნულმა ნაკრებმა ყველა თამაში „უემბლიზე“ ჩაატარა, მათი შეხვედრების კალენდარს ყველაზე გეგმაზომიერი სახე ჰქონდა. ეს უკვე დიდ უპირატესობას ნიშნავდა. თავიდანვე იგრძნობოდა, რომ ინგლისელებს ძალზე ეშინოდათ სამხრეთ ამერიკელი ფეხბურთელებისა, ალბათ, შემთხვევითი არ იყო, რომ ბრაზილიის ყველა თამაშს უმთავრესად ინგლისელი მსაჯები სჯიდნენ.

ინგლისელებმა ორივე მატჩი სამხრეთ ამერიკელებთან (ურუგვაისთან და არგენტინასთან) მართლაც ძალზე სუსტად ითამაშეს.

ყველაფერი ამის დაგვირგვინება იყო არგენტინელთა კაპიტნის რატინის გაძევება მოედნიდან ინგლისელებთან მატჩის დროს. როცა შეხვედრის შემდეგ მსაჯს არგენტინელი ფეხბურთელის გაგდების მიზეზი ჰკითხეს, მან თქვა – შემაგინაო. მაგრამ იმწამსვე გამოირკვა, რომ მას ერთი სიტყვაც კი არ ესმოდა ესპანური (მსაჯი გერმანელი იყო). დაბნეულმა თავი იმართლა, რატინის სახის გამომეტყველებაზე ვატყობდი, რომ მაგინებდაო.

კიდევ უფრო საეჭვოდ ჟღერს შემდეგში ფიფას ბოდიში და არგენტინელთა კაპიტნის რეაბილიტაცია (მას სამი საერთაშორისო თამაში ჰქონდა აკრძალული).

ეს ამბები მსოფლიოს პრესას მართლაც აძლევდა და აძლევს ეჭვის უფლებას.

მიუხედავად ამისა, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ინგლისის ეროვნული ნაკრები ღირსეული ჩემპიონია. მარტო ის რად ღირს, რომ ტურნირის განმავლობაში ინგლისელები სულ უფრო აუმჯობესებდნენ თამაშს, ხოლო ნახევარფინალსა და ფინალში გვიჩვენეს დაუვიწყარი, ჭეშმარიტად დიდი ფეხბურთი. თუ გავიხსენებთ ინგლისში ჩატარებულ მატჩებს, ერთ რამეს შევამჩნევთ: ყველაზე ლამაზი ორთაბრძოლები იმართებოდა მაშინ, როცა შეხვედრაში მონაწილეობდნენ ბრაზილიელები და ინგლისელები. გავიხსენოთ ოთხი დიდებული შხვედრა: ბრაზილია – უნგრეთი, ბრაზილია – პორტუგალია, ინგლისი – პორტუგალია, ინგლისი – გფრ. ჩემპიონატის საუკეთესო მატჩად აღიარებულია ბრაზილიისა და უნგრეთის შეხვედრა. ეს იყო ულამაზესი დრამატული მომენტებითა და ბრწყინვალე ტექნიკური ოსტატობით აღსავსე მატჩი. იგი გულშემატკივართა შეგრძნებაში დარჩა, როგორც ფეხბურთელთა უმაღლესი ოსტატობის დემონსტრაცია.

მაგრამ ყველაზე გამოკვეთილი მატჩი მაინც იყო ინგლისი – გფრ.

სწორედ ეს მატჩი განსაზღვრავდა ყველაზე მეტად ინგლისის ჩემპიონატის სახეს, სწორედ ამ მატჩში ჩანდა ყველაზე მეტად ის ტაქტიკური სიახლენი და წინსვლა, რაც უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე განიცადა ფეხბურთმა.

ალფ რამსეიმ თქვა: ჩვენს ფეხბურთელებს არა აქვთ ისეთი დახვეწილი ტექნიკა, როგორც სამხრეთამერიკელ ფეხბურთელებს. შეიძლება არც არასდროს ქონდეთ, მაგრამ ინგლისელ ფეხბურთელებს აქვთ სხვა რამ.

აი, სწორედ ეს „სხვა რამ“ კარგად ვიგრძენით ჯერ კიდევ ინგლისელებისა და პორტუგალიელი ფეხბურთელების შეხვედრის დროს. მომავალ მსოფლიო ჩემპიონებთან ორთაბრძოლაში ვარსკვლავებით სავსე პორტუგალიის ნაკრების თამაში ტაქტიკურად შედარებით ღარიბი გამოჩნდა და ოდნავ ძველი ყაიდის ფეხბურთის ელფერი დაჰკრავდა, თუმცა ეს იყო ულამაზესი მატჩი, რომელმაც მაყურებელს უდიდესი სიამოვნება და სიხარული მიანიჭა. მოედანზე იყვნენ ნამდვილი ფეხბურთელები. ისინი თამაშობდნენ მთელი სულით და გულით. მსაჯის სასტვენის ხმა პირველად მეოცე წუთზე გაისმა. შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებთან ინტერვიუში მსაჯმა განაცხადა: შემეშინდა ფეხბურთელებს არ დავიწყებოდათ, რომ მოედანზე მეც ვიყავი და იმიტომ დავუსტვინეო.

პელე და ეუსებიო

ფინალი კი მართლაც დაგვირგვინება იყო ამ დიდი საფეხბურთო ბატალიისა. სწორედ ყველაზე მეტად ფინალი გვაძლევს საშუალებას, ვიმსჯელოთ თანამედროვე ფეხბურთის დონეზე, მის ტაქტიკურ არსენალზე, ინგლისელებისა და გერმანელების თამაშს შეიძლება ვუწოდოთ „ლოგიკის ფეხბურთი“.

მე ჯერ (ალბათ არც სხვებს) არ მინახავს ასეთი დახვეწილი, რაციონალური ფეხბურთი.

ხშირად ფეხბურთელის ტექნიკა მარტო ბურთის გაჩერება, ტარება და დრიბლინგი ჰგონიათ.

განა უდიდესი ტექნიკა არ არის, როცა ხაზთან მომწყვდეული ბობი მური ან შნელინგერი პირუკუ უზუსტეს პასებს აწვდიან მოედნის შორეულ კუთხეში მდგომ თანაგუნდელებს?

განა უდიდესი ტექნიკა და მოედნის ხედვა არ სჭირდება ფეხბურთელს, რომელიც ბურთის მიღებამდე წამის რაღაც ნაწილებში აფასებს მომენტს, ამჩნევს სწორ გაგრძელებას და ბურთს ძირსდაუშვებლად, ყოველგვარი დამუშავებისა და ზედმეტი დაყოვნების გარეშე ზუსტად გზავნის პარტნიორისაკენ? დღვანდელი ფეხბურთი ძალზე გამოირჩევა თამაშის ორგანიზაციით, მანევრების სისწრაფითა და მახვილგონიერებით. დღევანდელ ფეხბურთში დაიკარგა მოთამაშეთა ვიწრო სპეციალიზაცია. ამის შესანიშნავ მაგალითს უჩვენებს ბობი მური და რობერტ ჩარლტონი, შნელინგერი და ბეკენბაუერი, ფაკე-

ინგლისის ნაკრები, 1966 წელი.

ტი და კოლუნა. ფინალმა დაგვარწმუნა, რომ განლაგება 1-4-3-3 ნაწილობრივ პირობითი იყო. თითქმის არ შემიმჩნევია ისეთი ეპიზოდი, როცა დაცვაში და თავდასხმაში შვიდი – რვა ფეხბურთელი არ მონაწილეობდა.

ფინალში ვგრძნობდით, რომ ყოველ არაზუსტ, დაკარგულ გადაცემას ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ასეთ ზუსტ, თითქმის იდეალურ გადაცემებს კი ვირტუოზული ტექნიკა სჭირდება. ინგლისელებს ამჯერად ჰქონდათ ასეთი ტექნიკა. მაღალტექნიკურები იყვნენ აგრეთვე გერმანელები. თუმცა არც ინგლისელ და არც გერმანელ ფეხბურთელებს არ ახასიათებთ სამხრეთული აჟურული ტრიუკები, ვინაიდან მათი ტექნიკა ემორჩილება მკაცრ ლოგიკას და იერიშის ორგანიზაციას, ემორჩილება დროს და იმდენად უფრო სრულყოფილია, რამდენადაც სწრაფად სრულდება ესა თუ ის ოპერაცია. ინგლისელთა და გერმანელთა ტექნიკას შეიძლება მანევრირების ტექნიკა ვუწოდოთ, მაშინ როცა ურუგვაელი ფეხბურთელების ტექნიკა უფრო ინდივიდუალური და ვირტუოზულია. ინგლისელთა უპირატესობა იმაშია, რომ მათი ტექნიკა ემსახურება მიზანს, ურუგვაელთა თამაშის დროს კი ხშირად მიზანი ეწირება ტექნიკას. არ ვიცი, რამდენად ზუსტი იქნება ეს შედარება, მაგრამ ურუგვაელი ფეხბურთელები ისე განსხვავდებიან ინგლისელებისაგან, როგორც ბაროკოს სტილის არქიტექტურა თანამედროვე ლოგიკური და ნათელი არქიტექტურისაგან. ინგლისი არა მარტო მსოფლიო ჩემპიონი გახდა, მან ბევრი რამ ახალი შესძინა მსოფლიო საფეხბურთო ტაქტიკას.

ერთი რამ კი შეიძლება ითქვას. წინა ორ ჩემპიონატში, როცა ბრაზილიელებმა მოიპოვეს უმაღლესი ჯილდო, არავის დაჰბადებია აზრი, ოქროს ქალღმერთის ღირსი შეიძლება სხვა რომელიმე გუნდიც ყოფილიყო.

კადრი ფინალური მატჩიდან

ბრაზილიელები მაშინ მთელი ორი თავით იდგნენ ყველაზე მაღლა. ინგლისელები ასეთი უპირატესობით არ გამხდარან მსოფლიო ჩემპიონები. სრულიად თავისუფლად შეიძლებოდა ეს სანუკვარი ტიტული მოეპოვებინათ გერმანელებს, არგენტინელებს, პორტუგალიელებს, უნგრელებს და იმავე ბრაზილიელებს. ეს გუნდები თანაბარი ძალისანი იყვნენ და მათ წარმატებას განაპირობებდა ნაწილობრივ ის ფორმა, რომელშიაც ჩამოთვლილი გუნდები ჩემპიონატის დღეებში იმყოფებოდნენ და ნაწილობრივ... ბედიც.

პირადად ჩემი აზრით, ყველაზე საინტერესო ფინალი იქნებოდა ბრაზილია – ინგლისი. თუნდაც იმიტომ, რომ ეს იქნებოდა არა მარტო ორი საუკეთესო გუნდის, არამედ ორი სხვადასხვა სკოლის წარმომადგენლის ორთაბრძოლა.

ინგლისის ჩემპიონატზე ძირითადად მაინც ორი საფეხბურთო მიმართულება იბრძოდა – სამხრეთამერიკული და ინგლისური. სამხრეთამერიკული ფეხბურთის წარმომადგენლები იყვნენ არგენტინელები, ურუგვაელები და ნაწილობრივ პორტუგალიელები მსოფლიოს ექსჩემპიონების – ბრაზილიელების მეთაურობით.

ამ სკოლამ მარცხი განიცადა. პირველი ორი ადგილი ინგლისური სტილის ფეხბურთის წარმომადგენლებმა: ინგლისელებმა და გერმანელებმა მოიპოვეს.

მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სწორედ ამ ორ გუნდს ძალზე გაუჭირდა თამაში ურუგვაისთან და არგენტინასთან. ინგლისმა ურუგვაის ვერ მოუგო, არგენტინასთან კი მხოლოდ ერთი ბურთი გაიტანა (ორ თამაშში სულ ერთი ბურთი), თანაც ყველას გვახსოვს, მატჩი რა პირობებში მიმდინარეობდა. გერმანიამ ვერაფერი დააკლო არგენტინას, ხოლო ურუგვაის მას შემდეგ სძლია, რაც მოედნიდან ორი ურუგვარელი ფეხბურთელი გააძევეს. როგორ ითამაშებდნენ ინგლისელები და გერმანელები ბრაზილიელთა წინააღმდეგ?

ბრაზილიისა და ინგლისის შეხვედრა კიდევ უფრო იმიტომ იქნებოდა საინტერესო, რომ თვალნათლივ გამოაჩენდა, რაში ჩამორჩა ბრაზილიური ფეხბურთი და რაში გამოიხატება ინგლისელთა უპირატესობა, რასაკვირველია, თუ ეს უპირატესობა ნამდვილად არსებობდა. პარალელებითა და ცალკეული შეხვედრებით ლაპარაკი ძალიან ძნელია. მათი ორთაბრძოლა ბევრ საკამათო მხარეს მოჰფენდა ნათელს.

დუნგას შანსი

დუნგას ფეხბურთელობისას სამი უმაღლესი სანაკრებო შეჯიბრი: მსოფლიო ჩემპიონატი, კონფედერაციის თასი და კონტინენტის (კოპა ამერიკა) ჩემპიონატი აქვს მოგებული. მან კონფედერაციისა და კონტინენტის (კოპა ამერიკა) ჩემპიონატის თასები ბრაზილიის ნაკრებთან ერთად, მთავარი მწვრთნელის რანგშიც მოიპოვა. დუნგა ბრაზილიის ნაკრებს კვლავ ჩაუდგა სათავეში და მისი თაოსნობით გუნდი თამაშს თამაშზე იგებს. სელესაომ მუნდიალის მოქმედი ფინალისტი – არგენტინის ნაკრებიც დაამარცხა. დუნგამ 2018 წელს მსოფლიო ჩემპიონატი თუ მოიგო, ის გახდება უნიკალური მიღწევის ავტორი. მას როგორც მოთამაშესა და როგორც მწვრთნელს მოგებული ექნება სამივე უმაღლესი რანგის სანაკრებო ტურნირი.

ჩაინდი

მოთამაშე, რომელიც მოწინააღმდეგის უხეშობისთვის თავად იხდიდა ბოდიშს

საოცარი რამაა სტატისტიკა, განსაკუთრებით სპორტში. შესაძლოა, უამრავი ტიტული გქონდეს მოპოვებული მსოფლიოსა და ევროპის პირველობებზე, სხვა მრავალი ტურნირის გამარჯვებული გახდე და საუკეთესოდ ჟურნალისტებმა მაინც სხვა მიიჩნიონ. ქართულ სპორტულ სინამდვილეში ამის ნათელ მაგალითად დავით ყიფიანის სახელიც იკმარებს, რომელსაც საერთაშორისო-სანაკრებო ასპარეზზე ჯილდოთა სიმცირის მიუხედავად ქომაგთა უდიდესი სიყვარული მუდამ თან ახლდა. იგი გულშემატკივართა უზარმაზარი არმიის აზრით, 70-80-იანი წლების ევროპული ფეხბურთის ერთ-ერთი უკაშკაშესი ვარსკვლავი გახლდათ. ინგლისში კი, ფეხბურთს ყველაზე კარგად თამაშობდა კაცი, რომელსაც ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში ერთადერთი გუნდური ტიტული მოუგია. მისი სახელია სტენლი მეტიუზი, შემდგომში რაინდად შერაცხული უზადო ნიჭისა და უბერებელი ტალანტის მქონე ფეხბურთელი.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ განახლებულ ინგლისის ჩემპიონატში სტენლი მეტიუზი 31 წლისა იყო. როგორც დღევანდელ ფეხბურთში, ასევე ადრეც, 30 წელი ფეხბურთისათვის კრიტიკულ ასაკად ითვლებოდა. ვეტერანმა მოთამაშემ კი მაყურებელს ისეთი დონის მატჩები შესთავაზა, რომ "სტოკ სიტის" (1948 წლამდე კი "ბლექპულის") გასვლით მატჩებს საშუალოდ 10 ათასით მეტი გულშემატკივარი ესწრებოდა. სიტყვამ მოიტანა და გეტყვით, რომ სერ სტენლის თავისი ხანგრძლივი, 35-წლიანი (!) კარიერის განმავლობაში მხოლოდ ამ ორ კლუბში უასპარეზია.



მეტიუზის სტილი ერთი შეხედვით მარტივი, მაგრამ მეტად ეფექტიანი გახლდათ. განსაკუთრებით მოწონებას მისი 20-30-მეტრიანი დრიბლინგი იწვევდა, რის შემდეგაც მოთამაშე საჯარიმოს მიდამოებთან თავისუფალი რჩებოდა. მაშინ, როდესაც ყველა, მათ შორის მოწინააღმდეგის მეკარეც მისგან კარში დარტყმას ელოდა, მეტიუზი დღევანდელი ფეხბურთისთვის დამახასიათებელ, მეტოქისთვის დამაბნეველ პასს ოდნავ უკან აკეთებდა. ამ გადაცემას ყველაზე ხშირად კლუბსა და ნაკრებში მისი მრავალწლიანი პარტნიორი, სტენ მორტენსენი, ეხმაურებოდა. მორტენსენი აჩქარებას მარჯვენა ფლანგზე მოთამაშე სეხნიასთან ერთად იწყებდა და, საჯარიმოში საპირისპირო ფლანგიდან შესული, ბურთს ზუსტად საჭირო წერტილში ათავსებდა. ამ დუეტს მრავალი ეროვნული ნაკრების დაცვა არაერთხელ დაუწიოკებია.

"მეტიუზის ფინალი" – სწორედ ამ სახელწოდებით შევიდა ისტორიაში 1953 წლის ინგლისის თასის ფინალური მატჩი. ერთმანეთის პირისპირ "ბოლტონი" და "ბლექბერნი" წარსდგნენ. მანამდე, 1948 და 1951 წლებში "ბლექპული" ორჯერ გავიდა ფინალში და ორივეჯერ (შესაბამისად "მანჩესტერ იუნაიტედთან" და "ნიუკასლთან") დამარცხებულმა დატოვა მოედანი. ხუთი წლის განმავლობაში "ბლექპული" თასისთვის გადამწყვეტ შეხვედრაში მესამედ იღებდა მონაწილეობას, მაგრამ მთავარი მაინც ის გახლდათ, შეძლებდა თუ არა 42 წლის დამსახურებული ვეტერანი რაიმე ჯილდოს მოგებას.

... თამაშის დასრულებამდე ნახევარი საათით ადრე "ბოლტონი" 3:1-ს იგებდა და სერ სტენლის კვლავ უიღბლობა ემუქრებოდა. ასე ფიქრობდა ყველა, მის გარდა. ერთ-ერთი საფირმო გარღვევის დროს მან მიკროსკოპული სიზუსტით მონახა მორტენსენი და ანგარიშიც მინიმუმამდე შემცირდა, საფინალო სასტვენამდე წუთით ადრე კი კვლავ მორტენსენმა ყუმბარისებული საჯარიმო დარტყმით, რომელიც მეტიუზის წაქცევისთვის დაინიშნა, შეძლო მეტოქის კარის აღება და მატჩის დამატებით დროში გადაყვანა.

ოვერტაიმში, დაღლილ-დაქანცული ფეხბურთელები მინდორზე ძლივსღა მოძრაობდნენ, როდესაც მეტიუზმა კიდევ ერთხელ გააოცა გადაჭედილი ტრიბუნები – იოლად ჩამოშორებული მცველები და კვლავ ის ოპერატიული სივრცე, რაც მას შეუდარებელს ხდიდა. "ბოლტონის" ლამის ყველა მოთამაშე მორტენსენის "ჩასაკეტად" თავქუდმოგლეჯილი გაიქცა, 41 წლის მეტიუზმა კი ისინი ბავშვებივით გააცურა – მან შორეულ ძელთან მყოფ ჯო პერის გაუკეთე ზუსტი პასი და ამ უანასკნელმაც მშვიდად შეაგორა ბურთი კარში. 4:3 -

"ბლექპულმა" ამ ანგარიშით იმარჯვა და მიუხედავად იმისა, რომ ფინალურ მატჩში მორტენსენმა თავი ჰეთ-თრიქით გამოიჩინა, ლეგენდარულ "უემბლიზე" შეკრებილმა ფანებმა და ინგლისელმა ჟურნალისტებმა გადამწყვეტ შეხვედრას ერთხმად უწოდეს "მეტიუზის ფინალი".

რომ არა მეორე მსოფლიო ომი, სერ სტენლი ინგლისის უპირველეს გუნდში ასზე მეტ შეხვედრას აუცილებლად ჩაატარებდა, მაგრამ მეტიუზის ტალანტის შესაფასებლად ნაკრებში გამართული 56 მატჩიც საკმარისი გამოდგა.

იმ პერიოდში იტალიელები ბატონობდნენ, ხოლო ალბიონელები სხვასთან გაჯიბრებას დამამცირებლად მიიჩნევდნენ. ორგზის მსოფლიოს ჩემპიონმა ინლისელებს შემდეგი რამ შეუთვალა: "ჩვენ საქვეყნოდ დაგანახებთ, თუ რაოდენ ჩამორჩით საფეხბურთო ცხოვრებას"! ამაყმა ბრიტანელებმა ეს სიტყვები ვერ აიტანეს და აპენინელებს ტურინში ეწვივნენ.

1948 წლის 16 მაისს სტენლი მეტიუზი მსოფლიომაც გაიცნო – მან გოლითა და სამი შედეგიანი გადაცემით იტალიელთა 4:0 განადგურებაში ლომის წილი დაიდო. მსოფლიოს ჩემპიონებმა მატჩრევანში ითხოვეს, მაგრამ ესეც სანანებელი გაუხდათ - "უემბლიზე" ინგლისმა, რაღა თქმა უნდა, ჩვენი სტატიის გმირის წინამძღოლობით, სტუმრებს კვლავ მოუგო – 2:0.

ბრიტანელი სპორტული ჩინოვნიკები ინგლისის ნაკრების მსოფლიოს ჩემპიონატზე მონაწილეობის აუცილებლობაში სწორედ ამ მატჩებმა, და როგორც ბევრი მიიჩნევს, პირადად სერ სტენლის დიდებულმა თამაშმა დაარწმუნა.

სხვათა შორის, დიდი ფეხბურთელი საოცარი კორექტულობთ გამოირჩეოდა. მეტიუზის თამაშის მომსწრენი ვერ იხსენებენ შემთხვევას, იგი მოედნიდან გაეძევებინათ. ეს კი არა, რაინდად წოდებულ სერ სტენლის მსაჯისგან შენიშვნაც არასდროს მიუღია!

როგორც ამბობენ, 2000 წელს, 85 წლის ასაკში გარდაცვლილი რაინდის დაკრძალვაზე სერ ბობი ჩარლტონი, მრავალთა მსგავსად, ბავშვივით ტიროდა. გამოსამშვიდობებელ სიტყვაში მან სწორედ მეტიუზის ჯენტლმენობას გაუსვა ხაზი: "მხოლოდ ის, ვინც მისი თამაში იხილა და პირადად იცნობდა, გაიგებს, თუ როგორ უნდა ფეხბურთს თამაში. სერ სტენლისთან ერთად წარსულს ჩაბარდა იმ სპორტსმენთა თაობა, რომელთაც მოწინააღმდეგის უხეშობისთვის თავად შეეძლოთ ბოდიშის მოხდა. ვწუხვარ, მაგრამ დღევანდელ ვარსკვლავებს ამის არათუ შეძლება, გაგებაც კი არ ძალუძთ".

გოჩა კაჭარავა

სევდიანი ისტორია

იყო დრო, როცა მთელი მსოფლიოს გაზეთები პირველ გვერდზე ბეჭდავდნენ მის სურათებს. იყო დრო, როცა ამ ჭაბუკს მიუძღვნეს კინოფილმი, რომელსაც „ხალხის სიხარული" უწოდეს. იყო დრო, როცა მის სახელს მოწიწებით, პატივისცემითა და აღტაცებით წარმოთქვამდნენ მსოფლიოს მრავალ ქალაქში. რასაკვირველია, აღარაფერს ვამბობთ რიო-დე-ჟანეიროზე.

როცა ჩილეს მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთ მატჩში გარინჩა მინდვრიდან გააძევეს, ბრაზილიის პრემიერ მინისტრმა სანტიაგოში გაგზავნა დეპეშა, რომელიც შეიცავდა დიპლომატიურად შენიღბულ თხოვნას იმის შესახებ, რომ გარინჩასთვის მომდევნო მატჩში არ მიეცათ დისკვალიფიკაცია. როცა ბრაზილიამ მეორედ მოიპოვა ჟიულ რიმეს თასი და ქვეყანა აღტაცებათა გრიგალმა შეძრა, რას არ შეპირდნენ გარინჩას: ავტომანქანებსა თუ სახლ-კარს, მიწის ნაკვეთებსა თუ ფანტასტიკური თანხების საბანკო ანგარიშებს...

ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ, შვეიცარიაში გამარჯვების ათი წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ბანკეტზე, მისთვის მოსაწვევი ბარათიც კი არ გაუგზავნიათ. დაავიწყდათ მისი მიწვევა ამ იუბილესთან დაკავშირებით გამართულ მატჩზეც, ბრაზილიისა და ფიფას ნაკრებ გუნდებს შორის რომ გაიმართა.

ვინღა არ მიიწვიეს ამ მატჩზე: გადამდგარი გენერლები თუ ესტრადის მომღერლები, ცნობილი ჟოკეები თუ მოდური მკერავები, ტანწერწეტა მანეკენები თუ მყვირალა მეკუპლეტეები. მანოელ ფრანცისკო დოს სანტოსი კი ბილეთების რიგში იდგა ათეულ ათასობით რიგით თანამემამულესთან ერთად.

ინტერვიუ

რადომირ ანტიჩი: „ნებისმიერ ვარსკვლავთან ინდივიდუალურად ვმუშაობდი“

მადრიდის “რეალისა” და კატალონიური “ბარსელონას” მრავალწლიან ისტორიაში მხოლოდ ორი საფეხბურთო სპეციალისტია, რომელთაც მთავარ მწვრთნელად როგორც ერთ, ასევე მეორე გრანდში უმუშავიათ. პირველი მათგანი ურუგვაელი ენრიკე ფერნანდესია. სამხრეთამერიკელი დამრიგებელი “ბარსას” 1947-50 წლებში მოძღვრავდა და კატალონიელებს ორჯერ მოაპოვებინა ესპანეთის ჩემპიონობა. 1953 წელს ფერნანდესი სამუშაოდ “რეალში” მივიდა, ესპანეთში ალფრედო დი სტეფანოს პირველი მწვრთნელი გახდა, “ბლანკოსს” კი ლა ლიგა მოაგებინა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ენრიკე ფერნანდესი ხოსე ვილიალონგამ იმ მომენტში შეცვალა, როდესაც “სამეფო კლუბი” ესპანეთის ჩემპიონატის გათამაშების ცხრილს ლიდერობდა.

სერბი რადომირ ანტიჩი “რეალს” ორჯერ და ორივეჯერ ნახევარი სეზონის განმავლობაში ედგა სათავეში (1990-91 და 1991-92). ფერნანდესის მსგავსად, ბალკანელიც “ბლანკოსის” ლიდერობის მომენტში დაითხოვეს მადრიდელთა მთავარი მწვრთნელობიდან. 2003 წელს ანტიჩმა “ბარსელონას” წინამძღოლის პოსტზე ჰოლანდიელი ლუის ვან გააღი შეცვალა. მაშინ “ბლაუგრანას” ძალიან უჭირდა – კამპ ნოუელებს გასავარდნი ზონიდან მხოლოდ 3 ქულა აშორებდათ. ანტიჩის ხელმძღვანელობით “ბარსამ” პრიმერა დივიზიონში მეექვსე საფეხური დაიკავა და ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალამდე გააღწია.

– ერთ-ერთი სპეციალისტი ხართ, რომელმაც “რეალის” მთავარ მწვრთნელადაც იმუშავა და “ბარსელონასაც” ედგა სათავეში...

– შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ ეს ჩემი უმთავრესი სამწვრთნელო მიღწევაა. ამ ფაქტით ვამაყობ.

– ამის მიუხედავად, დიდი ხნით მუშაობა არც “სანტიაგო ბერნაბეუზე” მოგიწიათ და არც “კამპ ნოუზე”. ეს გულში ხინჯად არ დაგრჩათ?

– “ბარსელონადან” ჩემი აბარგება ახალი პრეზიდენტის ლაპორტას მისვლას დაემთხვა, მთავარ მწვრთნელთან ერთად კი გუნდი ლუის ენრიკეს, დე ბურსა და კოკუს დაატოვებინეს. “კამპ ნოუზე” მუშაობას წარმატებულად ვთვლი, რადგან სწორედ ჩემი კატალონიის დედაქალაქში ყოფნისას დაიწყეს თავიანთი შესაძლებლობების სრულად წარმოჩენა ვალდესმა, ხავიმ, პუიოლმა და ინიესტამ. ვფიქრობ, იმ პერიოდში აჩვენებდნენ თავიანთ საუკეთესო თამაშს სავიოლა და კლუივერტი.

– კატალონიური გრანდის მსგავსად, მადრიდის “რეალიდანაც” დაგითხოვეს...

– არადა, იმ მომენტისთვის “ბლანკოსი” პრიმერა დივიზიონის გათამაშების ცხრილს სათავეში ედგა. “სანტიაგო ბერნაბეუზე” მუშაობის დროსაც ფეხბურთელებს საუკეთესო თვისებების გამოვლენაში ყოველმხრივ ვუწყობდი ხელს. მადრიდიდან წასვლის შემდეგ ემილიო ბუტრაგენიო შემხვდა და მითხრა, ერთადერთი მწვრთნელი ხართ, რომლის დამრიგებლობისას “პიჩიჩის” (ესპანეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი) ტიტული მოვიგე.

ეადრიდიდან წასვლის შემდეგ ემილიო ბუტრაგენიო შემხვდა და მითხრა, ერთადერთი მწვრთნელი ხართ, რომლის დამრიგებლობისას „პიჩიჩის“ (ესპანეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი) ტიტული მოვიგე.

“ელ ბუიტრესთან” ბევრი ვისაუბრე და ერთმანეთს ძალიან თბილად დავშორდით.

– ფერნანდო იერომაც არ დაიშურა საქებარი სიტყვები თქვენი მისამართით...

– მას თავისუფლების მეტი ხარისხი მივანიჭე და შედეგმაც არ დააყოვნა – იერომ 37 მატჩში 21 გოლი გაიტანა.

– ვარსკვლავებთან მუშაობა და საერთო ენის გამონახვა გიადვილდებოდათ?

– ნებისმიერ მათგანთან ინდივიდუალურად ვმუშაობდი. ძალიან მიხაროდა, როცა ნიჭიერი მოთამაშე მაქსიმუმის გამოვლენას იწყებდა. თანაც, გადაწყვეტილებას ფეხბურთელთან თათბირის შემდეგ ვიღებდი. ასე იყო ხავის შემთხვევაში. მას შემტევი ნახევარმცველის ფუნქციების შესრულება პირველად მე დავავალე და მოხარული ვარ, ამ პოზიციაზე ხავი სადღეისოდ საუკეთესო მოთამაშე რომ არის. თავდაპირველად მას ჩემი იდეა არ მოეწონა და მიმტკიცებდა, ისეთივე სტილით უნდა ვითამაშო, როგორც გვარდიოლა ასპარეზობსო. საბოლოოდ ჩემმა არგუმენტებმა გადასწონეს.

– გვარდიოლას მსგავსად, ხავისაც „სამწვრთნელო სული“ აქვს?

– მატჩის მსვლელობისას პეპი ყოველთვის ბევრს საუბრობდა და ჟესტიკულირებდა. ხავი სხვაგვარი სტილის ადამიანია.

– თავის დროზე პუიოლსაც შეუცვალეთ ამპლუა...

– დიახ, კარლესი დაცვის მარჯვენა ფლანგზე თამაშობდა, მე კი იგი საუკეთესო ცენტრალურ უკანახაზელად მესახებოდა. არც შევმცდარვარ.

გოჩა კაჭარავა

სოკრატესი

2011 წლის 4 დეკემბერს სან პაულუს „კორინთიანსმა“ 0:0 ითამაშა თანაქალაქელ „პალმეირასთან“ და ექვსწლიანი შესვენების შემდეგ ბრაზილიის ჩემპიონი გახდა. იმ დღეს გამთენიისას, ალბერტ აინშტაინის სახელობის ჰოსპიტალში გარდაიცვალა ბრაზილიისა და „კორინთიანსის“ ლეგენდარული ფეხბურთელი სოკრატეს ბრაზილიერო დე ოლივეირა ანუ უბრალოდ სოკრატესი.

აღნიშნული მატჩი წუთიერი დუმილით დაიწყო და არც „კორინთიანსის“ გამარჯვება აღუნიშნავთ განსაკუთრებულად სან პაულუში. იმ დღეს ამ ქალაქში და სრულიად ბრაზილიაში გლოვა იყო...

„ყველა კორინთიანსელისთვის მძიმე დღეა – ჩვენ სიმბოლო დავკარგეთ. ჩემპიონის ტიტული ყველაზე უმნიშვნელო რამაა, რაც მისთვის გავაკეთეთ“, – თქვა ლიედსონმა, კლუბის საუკეთესო თავდამსხმელმა.

სოკრატესმა თავისი საფეხბურთო კარიერის უდიდესი ნაწილი სამშობლოში გაატარა, – მხოლოდ 1984-85 წლებში ითამაშა ფლორენციის „ფიორენტინაში“, მაგრამ ბრაზილიის გარეშე დიდხანს ვერ გაძლო და საკუთარ ქვეყანას დაუბრუნდა. მას არ მოეწონა მატჩის შესვენების დროს სიგარის მოწევა, რომ აუკრძალეს – ვერც ლუდზე თქვა უარი...

სოკრატესი სულ სხვა „თარგზე ჩამოსხმული“ ფეხბურთელი იყო. იგი თავისი რესპექტაბელური იერით, თავისუფალი მეამბოხე სულისკვეთებით და ინტელექტუალური, ელეგანტური თამაშის მანერით ყველასგან გამოირჩეოდა. მას ფეხბურთელისთვის უჩვეულო აღნაგობა ქონდა და სიმაღლით უფრო სპორტის სხვა სახეობას შეეფერებოდა. 193 სმ-იანი სოკრატესი, რომელიც ჩე გევარასეული წვერით დაჰქროდა მწვანე მინდვრებზე – მაღალი დონის საშემსრულებლო ოსტატობით ხიბლავდა ტექნიკური ფეხბურთის მოყვარულ უამრავ გულშემატკივარს და ოთხმოციანი წლების მსოფლიოს ერთ-ერთ გამორჩეულ მოთამაშედ სრულიად სამართლიანად ითვლებოდა.

სოკრატესი მოედნის მიღმაც არაერთი ღირსეული თვისებით გამოირჩეოდა. მასზე თავის დროზე ტელე სანტანამ ასეთი რამ თქვა: „პირველსავე სანაკრებო შეკრების დროს მიიქცია საყოველთაო ყურადღება. ის ნოვატორი იყო – აზრის გამოთქმას არ ერიდებოდა. იგი სხვა ფეხბურთელებისგან განსხვავებით, თანაგუნდელებს არ ეკამათებოდა. სოკრატესი თავის თანაგუნდელებს პრობლემის არსს დაწვრილებით, თანმიმდევრული სიზუსტით უხსნიდა, რიგ შემთხვევებში ორ-სამ სიტყვას იტყოდა და ნაკრებიც მზად

მყავდა. მისთვის კაპიტნის სამკლავური ზედგამოჭრილი იყო“.

მიუხედავად იმისა, რომ ტელე სანტანას მიერ გაწვრთნილი ბრაზილიის ნაკრები, რომლის კაპიტანიც სოკრატესი გახლდათ მსოფლიო ჩემპიონი ვერ გახდა – საყოველთაო მოსაზრებით ის გუნდი მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ლამაზ ფეხბურთს თამაშობდა.

სოკრატესის თაობის ფეხბურთელების კუმირები პელე და გარინჩა იყვნენ, ხოლო სელესაოს კაპიტნისთვის მისაბაძ ხალხს: ფიდელ კასტრო, ჩე გევარა და ჯონ ლენონი წარმოადგენდნენ... „კასტრო, ჩე და ლენონი ყველაზე თავისუფალი ხალხია, ცხოვრების აზრი კი სწორედ ამაშია“, – ამბობდა თავადაც თავისუფლების სულისკვეთებით განმსჭვალული სოკრატესი.

სანამ მედიცინის დოქტორის ხარისხი არ მოიპოვა, უნივერსიტეტში სწავლა არ დაასრულა. ის ქვეყნის პოლიტიკაშიც აქტიურად იყო ჩართული და იბრძოდა რათა ბრაზილიაში ათწლეულების განმავლობაში გაბატონებული დიქტატორული რეჟიმი დამარცხებულიყო: მიუხედავად ბრაზილიის საფეხბურთო კონფედერაციის აკრძალვისა, სოკრატესის ინიციატივით შეგულიანებული ფეხბურთელები 1982 წლის ნოემბერში, ჩემპიონატის მატჩების დროს მაისურებზე წარწერით მოუწოდებდნენ გულშემატკივრებს მოახლოებულ არჩევნებში აქტიურობისკენ. წლის ბოლოს, როდესაც „კორინთიანსმა“ სან პაულუს შტატის ჩემპიონატი მოიგო, მოთამაშეებს მაისურებზე სიტყვა „დემოკრატია“ ეწერათ.

ტარიელ კინწურაშვილი



სოკრატესი და ზიკო

JENNIFER
RUIZ DÍAZ
Brasil
2014

სტრატეგი

ჟენერალი



არსებობის საუკუნენახევრის განმავლობაში ინგლისის საფეხბურთო ნაკრებს მრავალი მთავარი მწვრთნელი ჰყავდა, მათ შორის ყველაზე წარმატებული დამრიგებელი კი მაინც სერ ალფ რამსეია. ისე არ გაგვიგოთ, თითქოს ამას მხოლოდ ალბიონელთა უპირველესი გუნდის მიერ 1966 წელს მსოფლიოს ჩემპიონობის მოპოვება გვალაპარაკებდეს. რასაკვირველია, დიდწილად ესეცაა, თუმცა, რამსეის სამწვრთნელო ტალანტზე სტატისტიკაც თვალნათლივ მეტყველებს. ის კი ინგლისელთა ეროვნული გუნდის ყველა სხვა მწვრთნელისას სჯობს - 113 მატჩი ჩაატარეს სერ ალფის წინამძღოლობით ჯვაროსნებმა და მხოლოდ 17-ში განიცადეს მარცხის სიმწარე, 70-ში კი მთელი ნისლიანი ალბიონი გაახარეს.

ალფ რამსეი დაგენჰემში დაიბადა. ფეხბურთს ბავშვობიდანვე თამაშობდა, ბრიტანულ არმიაში სამსახურისას კი "პორტსმუთის" მოყვარული გუნდის რიგებში ლონდონის საჯარისო ლიგაში მცველის პოზიციაზე ბურთაობდა. 1943 წელს რამსეი პორტსმუთის მეზობელ ქალაქ საუთჰემპტონში გადაბარგდა და პროფესიონალი მოთამაშის სტატუსითაც აღიჭურვა. ყველაზე წარმატებული კარიერა კი ლონდონურ "ტოტენჰემში" ჰქონდა. რამსეი "უაით ჰართ ლეინზე" 1949-ში გადაბარგდა და "მამლების" შემადგენლობაში მარჯვენა მცველის პოზიციაზე 250 მატჩზე მეტი ჩაატარა. ინგლისის ნაკრებში კი სერ ალფი ჯერ კიდევ "საუთჰემპტონში" ბურთაობისას მიიწვიეს. საერთაშორისო არენაზე ინგლისის ნაკრების მომავალი დამრიგებლის დებიუტი 1948 წლის 2 დეკემბერს შედგა. ამ დღეს რამსეიმ "ტოტენჰემის" მოსისხლე მტრის "არსენალის" სარბიელ "ჰაიბერიზე" შვეიცარიის წინააღმდეგ ითამაშა. დებიუტანტი მეთოფეთა არენაზე გამოსვლისას შებოჭილად სულაც არ გამოიყურებოდა, ინგლისელებმა კი ალპელები 6:0 გააბითურეს. მთლიანობაში ალფ რამსეიმ 32 სანაკრებო შეხვედრა ჩაატარა და მიუხედავად იმისა, იმ პერიოდში მცველები შეტევით ოპერაციებში, თანამედროვე უკანახაზელთაგან განსხვავებით, ნაკლებად მონაწილეობდნენ, სამი გოლის გატანა მაინც მოახერხა. სამ მატჩში კი ალფ რამსეი საკუთარი ქვეყნის ეროვნული გუნდს კაპიტნობდა. იგი სისწრაფით არ გამოირჩეოდა, მაგრამ თამაშის "წაკითხვაში" ცოტა ვინმე თუ გაუწევდა კონკურენციას, პოზიციასაც ყოველთვის უშეცდომოდ ირჩევდა, ფიზიკურადაც ძლიერი იყო და აქედან გამომდინარე, გასული საუკუნის 40-50-იან წლებში ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო მცველად ითვლებოდა. ნაკრების მომავალ დამრიგებელს ნერვებიც მტკიცე ჰქონდა, რისი წყალობითაც მოწინააღმდეგეებს ფსიქოლოგიურად ჯაბნიდა და მეტსახელად "გენერალი" შეარქვეს.

1955 წელს ალფ რამსეიმ აქტიური კარიერა შეწყვიტა და "იფსვიჩ თაუნის" მწვრთნელად დაიწყო მუშაობა. იმხანად იფსვიჩელები მესამე დივიზიონს ბინადრები იყვნენ, რამსეის შვიდი წლის სადამრიგებლო მუშაობის გვირგვინი კი ინგლისის ჩემპიონობა გახდა. "იფსვიჩ თაუნის" პირველობა დღემდე ნისლიანი ალბიონის საკლუბო ფეხბურთის ყველაზე მოულოდნელ ამბად ითვლება. ტაქტიკური სქემების შემუშავების დიდოსტატმა რამსეიმ საშუალო დონის ფეხბურთელთაგან მაღალი დონის საშემსრულებლო ანსამბლი შეკრა, რომელმაც ნამდვილი სპორტული გმირობა ჩაიდინა.

60-იანი წლების დასაწყისში ინგლისის ნაკრები, რბილად რომ ვთქვათ, არ ბრწყინავდა, ამიტომაც მთავარი მწვრთნელის შეცვლის საკითხი დღის წესრიგში თავისთავად დადგა. 1963-ში კი საპასუხისმგებლო პოსტის დაკავება ალფ რამსეის შესთავაზეს. მან უმალ თანხმობა თქვა და დანიშვნისთანავე ხმამაღლაც განაცხადა - ჩემი ნაკრები მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატს მოიგებსო. პირველი, რითიც რამსეიმ მუშაობა დაიწყო, გუნდში დისციპლინის გამყარება იყო. მთავარი მწვრთნელი ისეთ აღიარებულ ვარსკვლავებსაც კი, როგორებიც ჯიმი გრივზი, ბობი მური და ბობი ჩარლტონი იყვნენ, არაფერს აპატიებდა ხოლმე და

თუკი რომელიმე მათგანი საგარეო მატჩის წინ შეკრებაზე დააგვიანებდა, რამსეი აღიარებული მოთამაშის ავტორიტეტს არაფრად დაგიდევდათ და ინგლისში ტოვებდა. ცხადია, მწვრთნელის სიმკაცრე მოთამაშეებს ნაკლებად სიამოვნებდათ, მაგრამ რამსეის სამართლიანი ადამიანის რეპუტაცია ჰქონდა დამსახურებულად მოპოვებული, ამიტომაც საყოველთაო ავტორიტეტით სარგებლობდა. 1966 წლის მუნდიალის საგანაცხადო შემადგენლობის გამომზეურებამდე რამდენიმე საათით ადრეც კი არც ერთი ფეხბურთელი ბოლომდე არ იყო დარწმუნებული, მსოფლიო ჩემპიონატზე მონაწილეობას რომ მიიღებდა, ხოლო ბობი მურის კაპიტნად დანიშვნა კიდევ ერთი დამადასტურებელია იმისა, რამსეი ახალგაზრდებს ნდობას რომ უცხადებდა.

მსოფლიო ჩემპიონატის სტარტის წინ ალფ რამსეიმ ნაკრების სათამაშო ტაქტიკური სქემა გადაასხვაფერა. თუკი მანამდე ინგლისელები 4-3-3 განლაგებით თამაშობდნენ (ფლანგის გამოკვეთილი ფორვარდები დაცვით ოპერაციებში მონაწილეობას პრაქტიკულად არ იღებდნენ), ზედ მუნდიალის დაწყების წინ რამსეიმ აქცენტი ცენტრალურ ზონაში დაწოლაზე გააკეთა და საამისოდ გუნდი 4-2-2 განლაგებით ათამაშდა. ეს ცვლილება რევოლუციურად ჩაითვალა, ენაკვიმატმა ინგლისელმა ჟურნალისტებმა კი იგი "უფრთო სასწაულად" მონათლეს. 1966 წლის 30 ივლისს ალფ რამსეიმ საკუთარი დანაპირები პირნათლად შეასრულა, ინგლისის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონი გახადა, თუმცა, ფინალში ჰელმუტ შიონის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების დამარცხების შემდეგ რამსეის გარეგნული სიმშვიდე არ დარღვეულა. სერ ალფი ფეხბურთელებთან ერთად არ დახტუნავდა და მოზეიმე მოთამაშეებს გვერდიდან აკვირდებოდა.

1968 წელს ალფ რამსეის გუნდი ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში გავიდა, ხოლო 1970 წელს, მექსიკის მუნდიალზე მათ მეოთხედფინალამდე მიაღწიეს. გფრ-სთან ისინი 2:0 დაწინაურდნენ, მაგრამ გერმანელებმა ბოლომდე იბრძოლეს და ოთხი წლის წინ განცდილი მარცხის რევანში აიღეს. ჰელმუტ შიონის გუნდის ნახევარფინალში გასვლა კანონზომიერი კი იყო, თუმცა, საერთო აღიარებით არც ინგლისელები იმსახურებდნენ ტურნირის ესოდენ ადრეული სტადიიდან გამოთიშვას.

ნაკრებთან გამომშვიდობება კი სერ ალფ რამსეის მინორულ ნოტაზე მოუხდა. მისმა გუნდმა 1974-ის მსოფლიო პირველობის ჯგუფური ბარიერი ვერ გადალახა (ალბიონელებს შლაგბაუმი კაზიმეჟ გურსკის პოლონეთმა ჩაუდგა) და ნაკრებსაც ახალი ხელმძღვანელობა შეურჩიეს. პენსიაზე გასვლამდე რამსეი "ბირმინგემ სიტის" წვრთნიდა, 1979-80 წლებში კი ბერძნული "პანათინაიკოსის" კონსულტანტად მუშაობდა.

საფრანგეთის 1998 წლის მუნდიალის დროს სერ ალფ რამსეიმ ინსულტი გადაიტანა, მომდევნო წლის 28 აპრილს კი იფსვიჩის ერთ-ერთი კლინიკის პალატაში ალცჰეიმერის დაავადებით გარდაიცვალა. სიცოცხლის ბოლო წლებში რამსეი სნეულებასთან თანმდევი ინტელექტის დაქვეითებით და მოძრაობის დარღვეული კოორდინაციით იტანჯებოდა. გარდაცვალებიდან სამი წლის შემდეგ ტრიუმფატორი მწვრთნელი ინგლისური ფეხბურთის დიდების დარბაზში შეიყვანეს, იფსვიჩის ერთ-ერთ ქუჩას კი ალფ რამსეის სახელი მიენიჭა. მოგვიანებით იფსვიჩელთა მადლიერმა ქომაგებმა ფული შეაგროვეს და საყვარელ მწვრთნელს, მისსავე ქუჩაზე, ძეგლი დაუდგეს.

გოჩა კაჭარავა

ცნობილი ადამიანების უცნაური გამონათქვამები:

* ზოგიერთი ამბობს, რომ ფეხბურთი ადამიანის სიცოცხლის თანამგზავრია და სიკვდილადაც კი ღირს, მაგრამ მე მაღიზიანებს ეს განცხადება, რადგან ვთვლი, რომ ფეხბურთი ბევრად უფრო მეტს ნიშნავს. * ბილ შენკლი, ინგლისელი მწვრთნელი*
* თუ გუნდს შენი დამარცხება სურს და ამის საშუალებას მისცემ, მაშინ აუცილებლად მოგიგებს. *მია ჰამი, ამერიკელი ქალი ფეხბურთელი*
* ფეხბურთის წესები უმარტივესია, წააქციე მეტოქე თუ მოძრაობს და თუ არ მოძრაობს წააქციე იქამდე, სანამ მოძრაობას დაიწყებდეს. *ფილ ვუსმანი, უელსელი ფეხბურთელი და მწვრთნელი*
* მსოფლიოს ყველა ბავშვი, რომელიც ფეხბურთს თამაშობს, ცდილობს პელე გახდეს, მინდა ვურჩიო მათ, რომ პირველ რიგში არა ფეხბურთელობაზე, არამედ ადამიანობაზე იფიქრონ, ამის სწავლა კი ჩემი აზრით, ნამდვილად შეიძლება. *პელე, ლეგენდარული ბრაზილიელი ფეხბურთელი*
* ჩემი აზრით ის, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი მოვიგეთ ბევრად უფრო სასიამოვნოა, ვიდრე სექსი. არ ვამბობ, რომ სექსი არ მიყვარს, მაგრამ მსოფლიო თასს ხომ ოთხ წელიწადში ერთხელ ვიგებთ. *რონალდო, ბრაზილიელი ფეხბურთელი, 2002 წელი*
* ეს ღმერთის ხელი გახლდათ. *მარადონა, 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატი.*
* მეკარე საფეხბურთო მოედანზე ყველაზე უსაქმური ადამიანია. მეტოქე გუნდი კი ცდილობს მას რამე გააკეთებინოს და ეს არის თამაშის მთელი აზრი. *ოსკარ უაილდი*
* იტალიელებს მეტოქის დამარცხება არ შეუძლიათ, მაგრამ მეტოქეები მათთან სულ ადვილად მარცხდებიან. *იოჰან კრუიფი, ლეგენდარული ჰოლანდიელი ფეხბურთელი*
* ზოგი ამბობს, რომ პროფესიონალი ფეხბურთელები მონები არიან, მაგრამ თუ ეს მონობაა, მზად ვარ ნამდვილი ცხოვრება არასდროს ვნახო *ბობი ჩარლტონი, ლეგენდარული ინგლისელი ფეხბურთელი.*
* თუ პირველი ხარ, ესე იგი პირველი ხარ, მაგრამ მეორეობა ნიშნავს იმას, რომ არაფერს წარმოადგენ. *ბილ შენკლი*
* როცა მატჩისწინა პრესკონფერენციაზე შევდივარ, ჩემს გონებაში მატჩი უკვე დიდი ხნის დაწყებულია. *ჟოზე მაურინიო, პორტუგალიელი მწვრთნელი*
* წავაგეთ იმიტომ, რომ მოგება ვერ შევძელით. *რონალდო, ბრაზილიელი ფეხბურთელი*
* შეიძლება მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელები გყავდეს, ააშენო ყველაზე დიდი სტადიონი, გქონდეს უძვირფასესი ბაზა და მილიარდები ხარჯო მარკეტინგში, მაგრამ თუ მატჩი ვერ მოიგე, ყველას ყველაფერი ავიწყდება და მიაჩნიათ, რომ კრიზისში ხარ. *ჟოზე მაურინიო*
* კონტროლი აუცილებელია. რომ არა ეს მექანიზმი, გასახდელში მყოფი 11 მილიონერი აუცილებლად შეეცდებოდა იმქვეყნად გავესტუმრებინე, მაგრამ ახლა ყველამ იცის, რომ თუ ჩემი კონტროლის ფარგლებს მიღმა გავა, იმქვეყნად თავად გაემგზავრება. *სერ ალექს ფერგიუსონი, მანჩესტერ იუნაიტედის მთავარი მწვრთნელი*

კომენტატორების 15 „წვეტიანი“ გამონათქვამი:

* მოედანზე რიცხობრივი უთანასწორობა შეინიშნება – ფეხბურთელები ორი ორზე არიან.
* ”სელტიკი” ერთ დროს უახლოეს მდევარს ცხრა ქულით უსწრებდა, თუმცა სადღაც გზაზე, გემი რელსებიდან გადავიდა და ყველაფერი უკან–უკან წავიდა.
* პროგნოზი არასდროს გამიკეთებია და არც მომავალში გავაკეთებ.
* დღეს საღამოს ”ტოტენჰემი” ეცდება პირველი ლონდონური კლუბი გახდეს, რომელიც ინგლისის ასოციაციის თასს მოიპოვებს. ეს პირველად ”ტოტენჰემმა” მოახერხა 1973 წელს.
* შეხვედრა თანაბრად, ”არსენალის” უპირატესობით მიმდინარეობს.
* ”არსენალს” დიდი დრო აქვს იმისათვის, რომ დარჩენილ რამდენიმე წამში მეტოქეს სერიოზული შტურმი მოუწყოს.
* განმეორებითმა კადრმა აჩვენა, რომ მოძრაობა გაცილებით უარესია, ვიდრე ის რეალურად მოხდა.
* 4 წუთია გასული და ანგარიში უკვე 0-0-ია.
* რაც ფეხბურთელებს ვუთხარი, იმას რადიოშიც კი ვერ წაიკითხავთ.
* ფეხბურთი რომ არა, იმედგაცრუებული ფეხბურთელები ვიქნებოდით.
* ეს ერთ-ერთი იმ ფეხბურთელთაგანია, რომელსაც ტვინი თავში აქვს.
* სტივ მაკმანამანი და სტივ ჰაივეი რომ შევადაროთ, საერთოს ვერაფერს ვუპოვით, ერთმანეთს არაფრით ჰგვანან. შემიძლია გითხრათ რატომაც – ისინი ცოტათი განსხვავებულები არიან.
* ჯორჯ ბესტთან ერთადერთი რამ მაკავშირებს – ჩვენ ერთსა და იმავე ქალაქში დავიბადეთ, ერთსა და იმავე გუნდში ვთამაშობდით და ერთმა და იმავე ადამიანმა აღმოგვაჩინა.
* მან ჰეთ-თრიკი შეასრულა, 2 გოლი გაიტანა.
* ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ თუკი ერთი გუნდი გოლს გაიტანს, მეორეს აუცილებლად ორი დასჭირდება მოსაგებად.

„ადიდასის“ ბურთი „ფივერნოვა“, მსოფლიოს მე-17 ჩემპიონატი,სამხრეთ კორეა – იაპონია, 2002 წელი.
კადრი ფინალური მატჩიდან: ბრაზილია – გერმანია.



ISSN 2298-0970
9 772298 097000

1973 წელს თბილისის
„დინამო“ კოლუმბის
„კარაველას“ დაეუფლა